



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის  
სასწავლო უნივერსიტეტი  
სამართლის ფაკულტეტი  
სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

**თემა: დიზანი და მისი სამართლებრივი საშუალებები  
ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

სტუდენტი:

არჩილ მოსიაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

ლიკა საჯაია

პროფესორი

თბილისი

2019

## შინაარსი

ანოტაცია .....	3
Annotation .....	4
<b>შესავალი</b> .....	5
<b>თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა</b> .....	8
<b>თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი</b> .....	11
2.1 დიზაინის სამართლებრივ სისტემათა განვითარების მიმართულებები და სისტემები .....	11
2.2 დიზაინის სამართლებრივი არსი და დაცვისუნარიანობის კრიტერიუმები .....	18
2.3 დიზაინის რეგისტრაცია .....	29
2.4 დიზაინის დაცვის სამართლებრივი რეგულირება .....	33
2.4.1 დიზაინის დაცვის სამართლებრივი რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით .....	33
2.4.2 დიზაინის დაცვის სამართლებრივი რეგულირება საერთაშორისო ხელშეკრულებებით .....	38
2.5 დიზაინის დაცვის სამართლებრივი რეგულირება საზღვარეთის ქვეყნებში .....	44
<b>თავი III. კვლევის შედეგები</b> .....	52
დიზაინის დაცვის უფლების ფარგლები .....	52
<b>დასკვნა</b> .....	55
გამოყენებული ლიტერატურა .....	59

## ანოტაცია

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია თემაზე „ღიზინი და მისი სამართლებრივი საშუალებები“.

სწორედ, დასმული საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომში წარმოადგინეთ ღიზინი და მისი დაცვის სამართლებრივი რეგულირების კვლევა/ანალიზი. სამრეწველო ნიმუში (ღიზინი) წარმოადგენს მასობრივი წარმოების პროდუქტის გარეგანი სახის შექმნასთან დაკავშირებული შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, რომელიც ხელმისაწვდომი ფასების ფარგლებში აკმაყოფილებს პოტენციურ მომხმარებელთა მოთხოვნებს და მისი სამართლებრივი დაცვა ემსახურება იმ მნიშვნელოვანი განმასხვავებელი მახასიათებლების დაცვას, რომლის მეშვეობით მენარმეები აღწევენ წარმატებას ბაზარზე. თუ ახალი ტექნოლოგიური შემოთავაზების სამართლებრივი დაცვა მიზანშეწონილია მოხდეს გამოგონების შექმნის სტადიაზე, სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაცია ინოვაციური პროცესის იმ ეტაპთანაა დაკავშირებული, როცა იწყება პროდუქციის წარმოება.

თემის სპეციფიკამ მოითხოვა შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენება, რაც დაკავშირებული იყო საერთაშორისო ხელშეკრულებების შედარების ფონზე სამართლებრივ კვლევებთან. კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის და შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის საკითხთან.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ახლახან ძალაშია შესული საქართველოს კანონი ღიზინის შესახებ, რომელიც, ევროკავშირის

დირექტივებზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბდა და დიზაინთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგების სრულიად განსხვავებული მიდგომები ჩამოაყალიბა.

საკალაფრო ნაშრომი წარმოდგენილია თაბახზე ნაბეჭდ 59 გვერდზე. ნაშრომი შედგება სამი თავის და დასკვნისაგან. ნაშრომს ახლავს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი.

## Annotation

The present Master's Thesis is presented on the theme „**Design and its Legal Instruments**“.

Based on the abovementioned issue, present the design and analysis of the legal regulation of the design and analysis in the work. industrial design (design) of the mass production of the product external to the creation of creative activities, which is available to meet potential consumer demand and pricing within the legal protection of the important distinguishing characteristics of the defense, which the entrepreneurs by ou Wen success in the market. If the legal protection of a new technological proposal is appropriate, at the stage of creation of an invention, the registration of the industrial design is related to the stage of the innovation process when the production begins.

The specifics of the community demanded the use of a comparative-legal method related to legal research on the background of comparison of international agreements. In particular, the issue of international relations, international law and the internal state law.

The scientific novelization of the thesis is based on the fact that the new Georgian law on designs, based on the EU directives, has developed a completely different approach to regulating legal relations.

The theatrical work is presented on the blockbuster 59 page. The work consists of three chapters and conclusions. The work is accompanied by a list of used literature.

## შესავალი

**თემის აქტუალობა.** თემის აქტუალობას წარმოადგენს დიზაინი და მისი დაცვის სამართლებრივი რეგულირების განხილვა გაანალიზება.

დიზაინი წარმოადგენს მასობრივი წარმოების პროდუქტის გარეგანი სახის შექმნასთან დაკავშირებული შემოქმედებითი საქმიანობის შედეგს, რომელიც ხელმისაწვდომი ფასების ფარგლებში აკმაყოფილებს პოტენციურ მომხმარებელთა მოთხოვნებს. გარეგნული სახე წარმოადგენს ერთ-ერთ იმ ფაქტორს, რომელიც გადაწყვეტილების მიღებისას გავლენას ახდენს მომხმარებელზე უპირატესობა მიანიჭოს რომელიმე ერთ პროდუქტს მეორესთან შედარებით, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ბაზარზე ერთნაირი დანიშნულების მქონე პროდუქტების ფართო ასორტიმენტია.

სამრეწველო ნიმუშების სამართლებრივი დაცვა ემსახურება იმ მნიშვნელოვანი განმასხვავებელი მახასიათებლების დაცვას, რომლის მეშვეობით მენარმეები აღწევენ წარმატებას ბაზარზე, რის შედეგად ხდება სახსრების ინვესტირების სტიმულირება პროდუქციის გარეგანი სახის გასაუმჯობესებლად დაკავშირებული საქმიანობის სფეროში. სამრეწველო ნიმუშები ხშირად შეადგენენ კომპანიების არამატერიალური აქტივების მნიშვნელოვან ნაწილს. თუ ახალი ტექნოლოგიური შემოთავაზების სამართლებრივი დაცვა მიზანშეწონილია მოხდეს გამოგონების შექმნის სტადიაზე, 10

სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაცია ინოვაციური პროცესის იმ ეტაპთანაა დაკავშირებული, როცა იწყება პროდუქციის წარმოება.

**კვლევის მიზნები და ამოცანები.** იმის გათვალისწინებით, რომ უფლებების მოპოვების წესით, რეგისტრირებული დიზაინი მეტი სირთულეებით გამოირჩევა, ეს ნაშრომი, რეგისტრირებული დიზაინის სამართლებრივი სისტემის არსობრივი მოთხოვნების განხილვისკენ იქნება მიმართული და მთავარი ადგილი გაერთიანებული ევროპის კანონმდებლობით დაწესებული არსობრივი მოთხოვნების ანალიზს დაეთმობა, ერთიანი კანონმდებლობის ამოქმედებამდე არსებული ნორმების გათვალისწინებით.

**კვლევის მეთოდოლოგია.** ნაშრომზე მუშაობისას წარმოდგენილია ქართული და უცხოენოვანი სამეცნიერო ნაშრომები, კვლევები და მონოგრაფიები. აგრეთვე, კვლევის სრულყოფილად ჩატარებისა და სათანადო რეკომენდაციების მომზადების მიზნით, გამოყენებულია იურიდიული მეცნიერებისათვის რელევანტური კვლევის მეთოდები.

წარმოდგენილ ნაშრომში კვლევისას ჩემს მიერ გამოყენებული იქნა ისტორიულ-სამართლებრივი კვლევის მეთოდი, რადგან აღნიშნული გარემოებები არსებობდა ახლო წარსულში.

თემის სპეციფიკამ მოითხოვა შედარებით-სამართლებრივი მეთოდის გამოყენება, რაც დაკავშირებული იყო საერთაშორისო ხელშეკრულებების შედარების ფონზე სამართლებრივ კვლევებთან. კერძოდ, საერთაშორისო ურთიერთობების, საერთაშორისო სამართლის და შიდა სახელმწიფოებრივი სამართლის თანაფარდობის საკითხთან.

ამავე

დროს გამოყენებული იქნება დოგმატური მეთოდი, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ მეცნიერების მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებთან.

ნაშრომში

გამოყენებული იქნება თვისებრივი კვლევის მეთოდები, როგორც პირველადი, ისე მეორადი წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია.

დაბოლოს,

იურიდიულ-

განმარტებითი მეთოდი - ამ მეთოდით მოვახდინეთ ჩვენი სახელმწიფოს შესახებ ნორმების შინაარსის განმარტება.

**კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომის მეცნიერული სიახლე განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ახლახან ძალაშია შესული საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ, რომელმაც, ევროკავშირის დირექტივებზე დაყრდნობით, ჩამოაყალიბდა დიზაინთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგების სრულიად განსხვავებული მიდგომები.

**კვლევის მოსალოდნელი შედეგები.**

საგამომგონებლო საქმიანობის განვითარებისა და მისი შედეგების პრაქტიკული რეალიზების ხელშესაწყობას, უპირველესად საჭიროა: ქვეყნაში საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ევროპულ და სხვა მონინავე ქვეყნების გამოცდილებაზე იქნება დაფუძნებული; უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების გამოცდილების გათვალისწინებით, საინოვაციო საქმიანობის განვითარებასთან ერთად, მომავალში აღნიშნული სტრუქტურების ბაზაზე, შეიძლება შეიქმნას თანამედროვე ტიპის ტექნოლოგიების გადაცემის ბიუროები, რომელთა ძირითადი ამოცანა იქნება გამოგონების კომერციალიზაცია, ბიზნეს პარტნიორების მოძებნა, ბიზნეს პროგრამების შედგენა, სალიცენზიო ხელშეკრულებების გაფორმება, საჭიროების შემთხვევაში ვენჩურული კაპიტალის მოზიდვა და სხვა.

## თავი I. ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე ნაშრომი წარმოდგენილია ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტის - დიზაინის და მისი სამართლებრივი საშუალებების შესახებ.

სამრეწველო საკუთრება ინტელექტუალური საკუთრების ნაწილია, რომლის ერთ-ერთ ობიექტს დიზაინი შეადგენს. ინტელექტუალური საკუთრების მეორე ნაწილს საავტორო უფლებები წარმოადგენს, რომლის მოქმედება ვრცელდება ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებებზე. სამრეწველო საკუთრების, ისევე როგორც მთლიანად ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, ადამიანის გონების ქმნილებაა და არამატერიალური (ინფორმაციული) ბუნება გააჩნია.

2010 წელს დიზაინის შესახებ კანონი მისი მიღებისას, უკვე საკმაოდ ახლოს იდგა ევროკავშირის კანონმდებლობასთან. ამავე წელს შევიდა რამდენიმე ცვლილება, რომელიც უფრო სარედაქციო ხასიათის იყო. ამ კანონის ხარვეზს, ისევე როგორც ეს დამახასიათებელია ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი კანონებისთვის, წარმოადგენს უფლების დაცვის კონკრეტული ნორმების არარსებობა. ამ ხარვეზის



აღმოფხვრის მიზნით, 2017 წლის დეკემბერში, დიზაინის შესახებ კანონს დაემატა ახალი მუხლი დიზაინზე განსაკუთრებული უფლების დაცვის მექანიზმების შესახებ (მუხლი 301). ეს მუხლი კონკრეტულად აყალიბებს დიზაინზე განსაკუთრებული უფლების მფლობელის უფლებამოსილებებს უფლების დარღვევის შემთხვევაში. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების მიხედვით, დიზაინზე უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება, უფლების დარღვევით მიღებული შემოსავლის ჩამორთმევა ან ერთჯერადი ფულადი კომპენსაციის მიღება.

საქართველოს დიზაინის სამართალი მოიცავს დიზაინის, როგორც ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მეტად სპეციფიკური ინსტიტუტის თანამედროვე არსს.

სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ 1852 წელს პარიზში გაიხსნა ბონ მარშეს (Bon Marche), 1858 წელს დიდ ბრიტანეთში გემიჯის (Gamages Store), ხოლო 1860 წელს ნიუ-იორკში მესის (Macy's Store) მაღაზიები. მათ ამოქმედებას ძალზე შეუწყო ხელი მეთიუ ბულტონის (Matthew Boulton) და ჯოშია ვედუდის (Josiah Wedwood) წამოწყება. ბულტონმა 1759 წელს დაიწყო ქალთა მრავალი სახის სამომხმარებლო საგნის წარმოება, ხოლო შემდეგ საქმიანობის სფეროდ აქცია ისეთი საქონელი, როგორცაა შეფილდური ჭურჭელი. ეს საქონელი გათვლილი იყო შეძლებული ფენის მოსახლეობისათვის და, სწორედ, ამიტომ სასიამოვნო გარეგნობის მიცემა მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა. ამ საქომლის წარმოებამ ბულტონს სახელი გაუთქვა, რამაც წაახალისა ფუფუნების საგნების წარმოება-გამოშვება და ამ საქმიანობის გაფართოება სხვა ქვეყნებშიც. სწორედ, ბულტონი იყო პირველი, რომელმაც წარმოება განახორციელა არა მარტო ეროვნული მიმართულებით, არამედ საზღვარგარეთ მოქმედი ბაზრის მოთხოვნილების მიმართულებით და დასაკმაყოფილებლად, რასაც მრავალფეროვანი ნაწარმის შეთავაზებით აღწევდა. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს დიზაინის შესახებ კანონი ნოვაციაა და ახალია, შესაბამისად მასზე სამეცნიერო ნაშრომები და კვლევები პრაქტიკულად არ არსებობს.

დ. ძამუკაშვილის „დიზაინის სამართალი“ ერთადერთი პირველი ქართულენოვანი ნაშრომია, რომელიც დიზაინის სამართალზეა წარმოდგენილი. მასში თანამედროვე ევროპული სამართლის პრინციპების შესაბამისი თეორიული მასალა კარგადაა გაჯერებული პრაქტიკული მაგალითებითა და თვალსაჩინოებებით. ავტორი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალში დიდი პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე, ფართო აუდიტორიისათვის გასაგები ენით განმარტავს დიზაინს და მის სამართლებრივ საფუძველს. აგრეთვე, განმარტავს დიზაინის დაცვის არსებულ სისტემებსა და კრიტერიუმებს, დეტალურად აშუქებს დიზაინთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობების მონესრიგების ახალ მიდგომებს. პროფესორი დავით ძამუკაშვილი საინტერესოდ გადმოგვცემს დიზაინის თანამედროვე დაცვის სამართლებრივ საფუძველს. საქართველოს დიზაინის სამართლის ნორმების განმარტებისას, შედარების მეთოდის გამოყენებით, ავტორი ხაზს უსვამს მათ შესაბამისობას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სამართალთან და განიხილავს რა დიზაინთან დაკავშირებულ ურთიერთობების სამართლებრივი მონესრიგების თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებს, ყურადღებას ამახვილებს იმ წარმოჩენილ ხარვეზებზე, რომლებიც კანონის დახვეწის თვალსაზრისით, შემდგომ მუშაობას მოითხოვს.

ვფიქრობთ, რომ დ. ძამუკაშვილის სამეცნიერო ღვაწლი ძალზედ დიდია ინტელექტუალური სამართლის, ინტელექტუალური უფლებების, სამრეწველო საკუთრების, საერთაშორისო ხელშეკრულებების და კონვენციების უკეთ წარმოჩენაში.

ნაშრომზე მუშაობისას, არანაკლებ მნიშვნელოვნად წარმოდგა ა. შესტიმეროვის და ა. მინაევის ერთობლივი სამეცნიერო ნაშრომი სამრეწველო ნიმუშების (დიზაინის) შესახებ. რაც კიდევ დამატებით დაგვეხმარა ზოგადად სამრეწველო ნიმუშების (დიზაინის) დაცვის სამართლებრივად გაანალიზების საკითხში. აქვე

აღსანიშნავია, ს. ჯორბენაძის მიერ წარმოდგენილი ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონის მნიშვნელობა. სადაც, სამართლებრივად არის განხილული

ჩვენს მიერ წარმოდგენილი საკვლევი საკითხის დახასიათება.

უცხო

ქვეყნების სამართლის მეცნიერთა მიერ ბევრი კვლევა წარმოდგენილი ღიზინთან და მის სამართლებრივ რეგულეზასთან დაკავშირებით, რაც ჩემს მიერ შესრულებულ კვლევით ნაწილშია წარმოდგენილი. ეს იმით იყი განპირობებული, რომ ღიზინის შესახებ სამართლებრივი რეგულირება საქართველოში ნოვაციას და უცხო ქვეყნების მაგალითზე ვითარდება და იხვენება.

## თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

### 2.1 ღიზინის სამართლებრივ სისტემათა განვითარების მიმართულებები და სისტემები

საქართველოში ღიზინის (სამრენველო ნიმუშების) დაცვის სამართალს არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს და პრაქტიკულად ნოვაციას. მაგრამ, ამის მიუხედავად უნდა ვივარაუდოთ, რომ საქონლის განსაკუთრებით მიმზიდველი და გამორჩეული გარეგნული სახე წარმატებული ხელშემწყობი საშუალება გახლდათ ვაჭრობისთვის. კაცობრიობის განვითარების უძველესი დროიდან ადამიანი ახალ საყოფაცხოვრებო თუ სხვა დანიშნულების ნივთის გამოგონებასთან ერთად ცდილობდა და ახლაც ცდილობს, მისთვის თვალშისაცემი იერსახის მიცემას. სწორედ აქედან გამომდინარეობს, რომ ძველი

მსოფლიოს საზოგადოებისათვის გასაყიდი ნივთებისა და საგნების გარეგნული სახე ადრეულ პერიოდში არ წარმოადგენდა მნიშვნელოვან ღირებულებას, რომელიც შემოსავლის მიღების დამოუკიდებელ წყაროდ შეიძლება ყოფილიყო მიჩნეული. ახალი საგნებისა და ნივთების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა უფრო მოგვიანებით, ადრინდელ შუა საუკუნეების პერიოდში აღინიშნება.<sup>1</sup> სწორედ, ამ დროისათვის შემოსავლის მიღების მიზნით საქონლის მნიშვნელოვანი რაოდენობა იწარმოება. ხოლი, მენარმეები იხვეწებიან ხელოვნების ერთი რომელიმე მიმართულებით და იქმნება ცალკეული სახის საქონლის მწარმოებელი საამქროები, რომელიც გამოირჩევა ხელოვანი ხელოსნებით. შემოსავლის დაგროვებასთან ერთდ თანდათან ჩამოყალიბდა დიზაინერთა წრე, შედეგად მათი ნაწარმი ფართო სარგებელი გახდა.<sup>2</sup>

გარკვეული დროის შემდეგ, სახელმწიფომაც მიაქცია ყურადღება ახალი ტექნოლოგიების შემომტან მენარმეებს, რომლების შესაბამისად დაინტერესებულნი არიან ახალი წამოწყებების დამფუძნებლები დარგის განვითარებისათვის. ზოგიერთი დარგის ნაწარმი თავისი ბუნებიდან გამომდინარე მოითხოვდა დიზაინერის ხელს და ამ მიმართულებით ნაწარმის სასიამოვნო გარეგნული სახის გასატარებლად.<sup>3</sup>

ევროპის ქვეყნების საგარეო სავაჭრო კავშირების გაძლიერებამ შექმნა ვითარება, რომ მომხმარებელს უკვე უცხო შესახედაობის და წარმომავლობის ნივთებს სთავაზობდნენ. ამდენად, მყიდველს არჩევანის საშუალებას სთავაზობდნენ, შედეგად, დიზაინერებს კონკურენტულ გარემოში უწევდათ მოღვაწეობა და საქმიანობის წარმატებით გაგრძელებაში საჭირო გახდა ერთი რომელიმე მიმართულებით დახელოვნება.<sup>4</sup>

---

<sup>1</sup> დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ., 2011, გვ. 5

<sup>2</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. თბ., 2012, გვ., 1

<sup>3</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. თბ., 2012, გვ., 1

<sup>4</sup> დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ., 2011, გვ. 5

გამოჩნდა ფილოსოფიური შეხედულებებიც, რომ დადგა დრო, როდესაც ნაწარმს მეტად ეპასუხა მოთხოვნისათვის „ხარისხი და საქონელის მიმოცვლის თვისება“. ამ დროს საკმარისი აღარ იყო ისეთი ნაწარმის შეთავაზება მომხმარებლისთვის, რომელიც მხოლოდ „რაოდენობა და გამოყენება“ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა.<sup>5</sup>

დროის ეს მოთხოვნილება განსაკუთრებულად გამოიკვეთა სამრეწველო რევოლუციის განმახორციელებელ ქვეყნებში. ამ ქვეყნების პირველობა ეკუთვნოდა ინგლისს, საფრანგეთს, გერმანია და ამერიკის შეერთებულ შტატებს. ნაწარმის ფორმისა და იერის მრავალფეროვნებამ გააადვილა რეკლამისა და დიდი არჩევანის მქონე მალაზიების ამოქმედება.<sup>6</sup>

ნივთების გარეგნობას სამართლებრივი დაცვის მნიშვნელობა საზოგადოებამ კაპიტალისტური წყობის განვითარების დასაწყისიდანვე გააცნობიერა და, ბუნებრივია, იმ კონკრეტული ქვეყნების სამართლებრივმა წესებმა, რომელთა ცხოვრების ახალი პირობებისადმი შეუქცევადი სწრაფვა გამოავლინა და განსხვავებული ურთიერთობების ჩამოყალიბების სადავეებთან იდგა, შესაბამისად მენარმეთა ახალ მოთხოვნება გასცა პასუხი. შედეგად, დაიწყო ერილობითი სამართლებრივი ნორმების შექმნა და ამოქმედება.<sup>7</sup>

თავდაპირველად ნორმები და წესები იმ დარგების მაგალითზე შეიქმნა, რომლებიც ყველაზე სწრაფად ვითარდებოდა. 1787 წელს ძალაში შევიდა ტილოს, ბამბის ძაფის, ბამბის ქსოვილისა და ტილოს მოხატვის ნიმუშების შექმნისა და მათზე აღბეჭდილი

---

<sup>5</sup> დამუკაშვილი დ., თუმანიშვილი კ., მეტრეველი ე., „სამრეწველო ნიმუში, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი“, ჟ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბ., 2003, №2, გვ. 57

<sup>6</sup> დამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი თბ., 2001, გვ. 19

<sup>7</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. თბ., 2012, გვ., 3

ხელოვნების წახალისების შესახებ აქტმა<sup>8</sup> (Act for Encouragement of the Arts of Designing and Printing of Linens, Cottons, Calicoes and Muslins). რაც შეეხება, ნაწარმის მოცულობითი (სამგანზომილებიანი) მოხაზულობის დაცვას ყურადღება მოგვიანებით, კერძოდ კი, 1797 წელს მიექცა, როდესაც ამოქმედდა ქანდაკების ასლზე უფლების შესახებ აქტი (Sculpture Copyright Act). ამ კანონით დაცვა მიენიჭა, ანუ აიკრძალა უნებართვო კეთება ნაწარმისა, რომელიც იმეორებდა ადამიანისა და ცხოველის ქანდაკებებს. ამ აქტის დაცვის ფარგლები გაფართოვდა 1814 წელს და ადამიანისა და ცხოველის მოცულობითი გამოსახულების გარდა მოივცა სხვა სამგანზომილებიანი გამოსახულებებიც.<sup>9</sup>

1839 წელს სამართლებრივი დაცვის ძირითადი თანამედროვე შეხედულებების გამომხატველი წესრიგი ჩამოყალიბდა აქტით ასლების კეთებისა და დიზაინების შესახებ (Copyright of Designs Act), რომლის მიხედვითაც მოკლევადიანი დაცვა დაუნესდა მანუფაქტურულ ნაწარმზე გამოყენებულ ორგანზომილებიან ანაბეჭდებს და სამგანზომილებიან მოყვანილობებს. დაწესდა დიზაინების რეგისტრაცია და საამისოდ შეიქმნა ქვეყნის ერთიანი სისტემა. 1842 წელს ეს აქტი ჩაანაცვლა ახალმა კანონმა, რომლის მთავარი სიახლეს რეგისტრაციას დაქვემდებარებული დიზაინის განსაზღვრების ჩამოყალიბებას წარმოადგენდა.<sup>10</sup>

ერთ დროს დიზაინი სახვითი ხელოვნების ნებისმიერ შედეგს უკავშირდებოდა, რომელიც „ხელოვნების“ თუ „ხელოსნობის“ ამსახველი იყო. ამ მხრივ დიზაინის დაცვა საავტორო სამართალს ეკუთვნოდა. სამართლებრივი მონესრიგების ეს მიმართულება გარეგნობის „სასიამოვნო იერის“ დაცვის მიზანს ისახავდა. სწორედ, დიზაინის ცნების მრავალსახესხვაობამ და საბაზრო მოთხოვნათა თავისებურებებმა წარმოშვა დაცვის - სამრეწველო საკუთრებით მიმართულება, რომელიც თავის მხრივ, დიზაინის სპეციალურ

---

<sup>8</sup> ამ აქტის მიღებამდე დიზაინების დაცვის საშუალება გრაფირების შესახებ ინგლისის აქტი იყო, ომელიც 1734 წელს ამოქმედდა. 1766 წელს მისი მოქმედების არეალი სხვა ტიპის ანაბეჭდების კეთებაზე გავრცელდა, რომლების მეშვეობითაც შესაძლებელი იყო საქონლისათვის ახალი გარეგნობის მიცემა.

<sup>9</sup> დ. ძამუკაშვილი დ., საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, თბ., 2002. გვ. 13

<sup>10</sup> Community Design Law, Principles and Practice by David Musker, Sweet&Maxwell, 2002, 21

სამართლებრივ და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმკვეთი ნორმების სისტემებს მოიცავს.<sup>11</sup>

სამართლებრივი სისტემების სხვადასხვა სახის არსებობა განაპირობა, ერთმანეთისგან დაშორებულმა დიზაინის სახეების სიმრავლემ. კერძოდ, მოხაზულობა-მოყვანილობის გამომხატველი დიზაინი, მისი სამრეწველო (ინდუსტრიული) ტექნოლოგიური წესით საწარმოებელი ბუნების გამო საპატენტო სამართლის პრინციპებზე აგებულ დაცვის ნორმათა ერთობლიობას მოითხოვს.<sup>12</sup>

როგორც ვიცით, დიზაინი წარმოდგება არა მარტო ახალი მოხაზულობითა და მოყვანილობით, არამედ ცნობილი მოყვანილობის მქონე ნაწარმის ახლებური მორთვა-მოკაზმვითაც. დიზაინის სახეთა ამგვარი სიმრავლე, როგორც უკვე ავლნიშნეთ, „ხელოვან-ხელოსნური“ წესით გამოშვებას ექვემდებარება და საავტორო სამართლებრივი ნორმებით დაცვისკენაა მიდრეკილი. ხოლო, დიზაინის დაცვა საპატენტო სამართლის მიხედვით მოითხოვს არსობრივი მოთხოვნებისა და სარეგისტრაციო სისტემის შემოღებას.<sup>13</sup> საავტორო სამართალი. თავის მხრივ, დაცვას საკუთარ მოთხოვნებს უქვემდებარებს. ასეთ ვითარებაში წარმოიქმნა გარკვეული დაპირისპირება, რადგან, პირველ შემთხვევაში, კრიტერიუმია „სიახლე“, ხოლო მეორეში „ორიგინალობა“. გარდა ამისა, საავტორო სამართლის მიხედვით, დაცვა არ არის რეგისტრაციაზე დამოკიდებული. ამ თავისებურებამ და დიზაინის ისეთი სახეების არსებობამ, რომლებიც თავისი ბუნების გამო საავტორო სამართლით დაცული ვერ იქნება (მაგალითად, ტექნიკური დანიშნულებით გამოწვეული გარეგნობის ერთადერთი შესაძლებლობის გამომსახველი

<sup>11</sup> ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბ., 2006, გვ. 39

<sup>12</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. თბ., 2012, გვ., 4

<sup>13</sup> ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი თბ., 2001, გვ. 206

დიზაინი), გამოიწვია ამგვარი გარეგნობისათვის „არარეგისტრირებული“ დიზაინის დაცვის სპეციალური წესრიგის დაკანონება.<sup>14</sup>

დღესდღეისობით, დიზაინის დაცვის თვალსაზრისით, ვერც ეროვნულ და ვერც საერთაშორისო დონეზე ვერ ხერხდება ერთიანი სისტემის დამკვიდრება. დიზაინის თავისებურებებიდან გამომდინარე, იგი მიჩნეულია სამრეწველო საკუთრებისა ობიექტად, რაც გამომდინარეობს სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციიდან<sup>15</sup>, რომელიც დამკვიდრებული 120 წელზე მეტის მიუხედავად სადავო და საეჭვო არ გამხდარა. ამ მიმართებით პარიზის კონვენციის გავლენა იმით გამოიხატება, რომ თანამედროვე ნორმატიული მოთხოვნები აღარ ითხოვს დასაცავი დიზაინის სავალდებულო დაკავშირებას ხელოვნებისათვის აუცილებელი შთაბეჭდილებასთან. მიუხედავად ამისა, დიზაინისადმი წაყენებული მოთხოვნები სამრეწველო საკუთრების ობიექტებისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით არ შემოიფარგლება, რის შედეგადაც, მიზნის მისაღწევად მხოლოდ ამ ობიექტების სამართლებრივი დაცვის განსაკუთრებული სისტემა არ კმარა.<sup>16</sup>

ლიტერატურული და ხელოვნების ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია, თავისი სივრციდან ისეთ სახით ნაწარმოებებს ვერ გამოორიცხავდა, რომლებიც გამოყენებით სფეროს განეკუთვნება - დიზაინი ზუსტადაც რომ ამ სახის ნაწარმოებია<sup>17</sup>. გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, ანუ გამოყენებითი კატეგორიის დიზაინი, ბერნის კონვენციით განსაზღვრულ დასაცავ ობიექტთა რიცხვს მიეკუთვნება და ისინი საავტორო სამართლით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში დაცული იქნება, გარდა ნაწარმოებებისა, რომლებიც მოკლებულია ხელოვნებისათვის მიკუთვნების შესაძლებლობას, ერთი მხრივ, ორიგინალობის კრიტერიუმის

---

<sup>14</sup> Intellectual Property in Designs by John Sykes, Reed Elsevier, (UK), 2005; დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ., 2011, გვ. 11

<sup>15</sup> სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (1883)

<sup>16</sup> დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ., 2011, გვ. 11-12

<sup>17</sup> ლიტერატურული და მხატვრული ნაწარმოებების დაცვის ბერნის კონვენცია (1886)



დაკმაყოფილების უნარს და მეორე მხრივ, ამგვარი ახალი დიზაინები მაინც მიეკუთვნება სამრეწველო სამართლებრივ ინტერესთა სფეროს და სწორედ, ამიტომ არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმკვეთ სამართალს ექვემდებარება.<sup>18</sup>

ლიტერატურული და ხელოვნების ნაწარმოების დაცვის ბერნის კონვენცია, ბუნებრივია, თავისი სივრციდან ისეთ სახვით ნაწარმოებებს ვერ გამოორიქხავდა, რომლებიც გამოყენებით სფეროს ეკუთვნის - დიზაინი ზუსტადაც რომ ამ სახის ნაწარმოებია<sup>19</sup>. შესაბამისად, გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, ანუ გამოყენებითი კატეგორიის დიზაინი, ბერნის კონვენციით განსაზღვრულ დასაცავ ობიექტთა რიცხვს ეკუთვნის და ისინი საავტორო სამართლით დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევებში დაცული იქნება. ასეთ ობიექტთა რიცხვიდან კი გამოორიქხულია ნაწარმოებები, რომლებიც მოკლებულია ხელოვნებისათვის მიკუთვნების შესაძლებლობას, ერთი მხრივ, და ორიგინალობის კრიტერიუმის დაკმაყოფილების უნარს, მეორეს მხრივ, თუმცა ამგვარი ახალი დიზაინები მაინც ეკუთვნის მწარმეთა სამართლებრივ ინტერესთა სფეროს და, როგორც ავლნიშნეთ, ამის გამო, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმკვეთ სამართალს ექვემდებარება.<sup>20</sup>

წარმოდგენილი ქვეთავის ანალიზი გასაგებს ხდის სამართლის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიზაინის დასაცავად განსხვავებული, ინტელექტუალურ-საკუთრებითი სამი სისტემის ჩამოყალიბებას. ესენია: რეგისტრირებული დიზაინის; გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოების (სავტორო სამართალი); არარეგისტრირებული დიზაინის (არაკეთილსინდისიერი კონკურენციის საწინააღმდეგო სპეციალური სამართლებრივი სისტემა).

---

<sup>18</sup> დ. ძამუკაშვილი, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, თბ. 2002, გვ. 21

<sup>19</sup> Design Law in Europe by Uma Sutherland, Sweet&Maxwell, 2000, 19

<sup>20</sup> Community Design Law, Principles and Practice by David Musker, Sweet&Maxwell, 2002, 59

## 2.2 დიზაინის სამართლებრივი არსი და დაცვისუნარიანობის კრიტერიუმები

დიზაინის არსობრივი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმები თანამედროვე მსოფლიოში სრული ურთიერთთანხმობით არ ხასიათდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა საერთოც ბევრი აქვს.<sup>21</sup>

თავდაპირველად, წარმოვადგენთ, საქართველოს კანონს დიზაინის შესახებ, რომელიც აწესრიგებს დიზაინის შექმნას, რეგისტრაციას, გამოყენებას, სამართლებრივ დაცვასთან და აქედან გამომდინარე, უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.<sup>22</sup>

**დიზაინი.** კანონის შესაბამისად, დიზაინი არის მთლიანად პროდუქტის ან მისი ნაწილის გამოხატულება (გარეგანი სახე), რომელიც გამომდინარეობს თვით პროდუქტის ნიშნებისაგან, მათ შორის ხაზების, კონტურების, ფერების, ფორმის, ტექსტურის ან/და მასალის, ან პროდუქტის მორთვისაგან.<sup>23</sup> ამ განმარტებაში არ ფიგურირებს დიზაინისადმი ესთეტიურობის მოთხოვნა, რაც სავალდებულო იყო, როგორც საქართველოს, ისე სხვა ქვეყნების კანონმდებლობაში. დიზაინი შეიძლება ერთდროულად აკმაყოფილებდეს როგორც ესთეტიურ, ისე ფუნქციონალურ მოთხოვნებს. მაგალითად, დიზაინი შეიძლება იყოს რომელიმე ნივთის გასალამაზებლად შექმნილი ორნამენტი, რომელსაც არა აქვს არავითარი ფუნქციონალური დანიშნულება.<sup>24</sup>

დიზაინი შეიძლება იყოს ბრტყელი (ორგანზომილებიანი) ან მოცულობითი (სამგანზომილებიანი).<sup>25</sup>

**პროდუქტი.** დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის განმარტებიდან

---

<sup>21</sup> Community Design Law, Principles and Practice by David Musker, Sweet&Maxwell, 2002, 22

<sup>22</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, სამეცნიერო ნაშრომი, თბ., 2011, გვ. 97

<sup>23</sup> საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ. მუხლი მე-3 (1)

<sup>24</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, სამეცნიერო ნაშრომი, თბ., 2011, გვ. 98

<sup>25</sup> ძამუკაშვილი დ., სამრეწველო საკუთრება (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში), თბ., 1997, 13

გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პროდუქტი არის ნებისმიერი სამრეწველო ან ხელნაკეთი საგანი, მათ შორის, საფუთავი, გაფორმება, გრაფიკული სიმბოლო, ტიპოგრაფიული შრიფტი, შედგენილ პროდუქტში ჩასართავად განკუთვნილი შემადგენელი ნაწილი (კომპიუტერული პროგრამის გარდა).<sup>26</sup> მაგრამ, მაინც უნდა აღინიშნოს, რომ დიზაინით არ ხდება უშუალოდ პროგრამის დაცვა და იგი ექვემდებარება კომპიუტერის ეკრანზე გამოტანილი გამოსახულებები დაცვას.<sup>27</sup>

### **შედგენილი**

**პროდუქტი.** შედგენილი პროდუქტი არის პროდუქტი, რომელიც შედგება მრავალი ნაწილისაგან, რომელთა შეცვლა შესაძლებელია პროდუქტის დაშლითა და ხელმეორედ აწყობით.<sup>28</sup> შედგენილი პროდუქტის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალება (ავტომობილი, მოტოციკლი, იახტა და სხვ.). შედგენილი პროდუქტის ნაწილის დიზაინის დაცვა ხდება შედგენილი პროდუქტის დიზაინისაგან დამოუკიდებლად.

### **დიზაინის დაცვის კრიტერიუმები.** დიზაინი

ექვემდებარება დაცვას თუ მას აქვს სიახლე და ინდივიდუალურია.<sup>29</sup> დიზაინს აქვს სიახლე, თუ განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის თარიღამდე, არც ერთი მისი იდენტური დიზაინი არ გამხდარა საჯაროდ ხელმისაწვდომი. დიზაინი იდენტურად მიიჩნევა იმ შემთხვევაშიც, თუ მათი ნიშნები მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებით განსხვავდება.<sup>30</sup>

დიზაინი ინდივიდუალურია, თუ საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ის ახდენს ინფორმირებულ მომხმარებელზე, განსხვავდება საერთო შთაბეჭდილებისაგან, რომელსაც იმავე მომხმარებელზე ახდენს სხვა დიზაინი, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე.<sup>31</sup>

<sup>26</sup> საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ. მუხლი მე-3 (2)

<sup>27</sup> ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი თბ., 2001, გვ. 31

<sup>28</sup> საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ. მუხლი მე-3 (3)

<sup>29</sup> საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ. მუხლი მე-3 (4)

<sup>30</sup> Community Design Law, Principles and Practice by David Musker, Sweet&Maxwell, 2002; ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი თბ., 2001, გვ. 31

<sup>31</sup> საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ. მუხლი მე-3 (8)

ინდივიდუალობის შეფასებისას გათვალისწინებულია მისი შექმნის პროცესში დიზაინერის თავისუფლების ხარისხი. რაც უფრო დაბალია დიზაინერის თავისუფლების ხარისხი, მით უფრო დაბალია მოთხოვნები დიზაინის ინდივიდუალურად მიჩნევის მიმართ. პროდუქტში ჩართული ან მისთვის გამოყენებული დიზაინი, რომელიც შედგენილი პროდუქტის ნაწილია, მიიჩნევა ახლად და ინდივიდუალურად, თუ იგი ხილულია შედგენილ პროდუქტში, მისი ჩვეულებრივი გამოყენების დროს და ხილული ნიშნები აკმაყოფილებს სიახლის და ინდივიდუალობის კრიტერიუმებს. „ჩვეულებრივი გამოყენება“ ნიშნავს საბოლოო მომხმარებლის მიერ გამოყენებას, გარდა ტექნიკური მომსახურებისა, მიმდინარე და აღდგენითი სარემონტო სამუშაოებისა. მაგალითად, აღნიშნულიდან გამომდინარე, ავტომობილის იმ ნაწილების დიზაინი, რომლებიც მისი კაპოტის ქვეშაა განლაგებული, დაცვას არ ექვემდებარება.<sup>32</sup>

**დიზაინის საჯაროდ ხელმისაწვდომობა.** დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომად მიიჩნევა, თუ იგი გამოქვეყნებული, გამოფენილი, სავაჭრო მიმოქცევაში ჩართული ან სხვა გზით გახდა საჯაროდ ცნობილი, განაცხადის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე. დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომად არ მიიჩნევა თუ: ზემოაღნიშნული ქმედებები არ იყო იმგვარი, რომ ჩვეულებრივი წესით გამხდარიყო საჯაროდ ცნობილი, ქვეყნის ტერიტორიაზე მოცემულ სფეროში დასაქმებული პირებისათვის; დიზაინზე ინფორმაცია მესამე პირისათვის გახსნილია კონფიდენციალობის დაცვის პირობით.<sup>33</sup>

დიზაინზე ინფორმაცია გახსნილად არ ითვლება, თუ იგი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდა განაცხადის წარდგენის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე 12 თვის განმავლობაში. კერძოდ: უშუალოდ დიზაინერის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ დიზაინზე ინფორმაციის გახსნის გზით; მესამე პირის მიერ განხორციელებული

<sup>32</sup> საქართველოს კანონი დიზაინის შესახებ. მუხლი მე-3 (11)

<sup>33</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, სამეცნიერო ნაშრომი, წიგნში „ევროგაერთიანების აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა და საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები“, ღია საზოგადოება - საქართველო, თბ., 2011, გვ. 99-100

არაკეთილსინდისიერი ქმედების შედეგად.<sup>34</sup>

**დიზაინის სამართლებრივი**

**დაცვის ფარგლები.** დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლებს განსაზღვრავს მისი გამოსახულება. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლები მოიცავს ნებისმიერ დიზაინს, რომელიც ინფორმირებულ მომხმარებელზე არ ახდენს განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას. დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლების განსაზღვრისას გათვალისწინებულია მისი შექმნის დროს დიზაინერის თავისუფლების ხარისხი. რაც უფრო დაბალია დიზაინერის თავისუფლების ხარისხი, მით უფრო ვიწროა დიზაინის სამართლებრივი დაცვის ფარგლები<sup>35</sup>.

დიზაინის დაცვა ტექნიკური ფუნქციის მატარებელ პროდუქტზე. მოქმედი კანონმდებლობა არ მოითხოვს, რომ პროდუქტის გარეგანი სახე აკმაყოფილებდეს ესთეტიკურ მოთხოვნებს. დიზაინით დაცვას ექვემდებარება ნებისმიერი პროდუქტი, მათ შორის ისეთიც, რომელსაც აქვს ფუნქციური (ტექნიკური) დანიშნულება, თუმცა დიზაინიდან გამომდინარე უფლება არ წარმოიქმნება პროდუქტის გარეგანი სახის იმ ნიშნებზე, რომლებიც განპირობებულია მხოლოდ მათი ტექნიკური ფუნქციით.<sup>36</sup>

ამგვარი ნიშნები არ მიიღება მხედველობაში იმის შესათვალისწინებლად, პასუხობენ თუ არა ისინი დიზაინის დაცვის კრიტერიუმებს. მაგალითად, თუ ბოთლი, უკვე ცნობილი ბოთლისაგან განსხვავდება მხოლოდ ბოთლის ყელზე შესრულებული, საცობისათვის განკუთვნილი ხრახნით, იგი დაცვას არ ექვემდებარება, რადგან ამ ნიშანს (ხრახნს) მხოლოდ ფუნქციური დანიშნულება აქვს. დიზაინით დაცვას არ ექვემდებარება პროდუქტი, თუ ის აუცილებლად ზუსტად ისეთი ფორმისა და ზომის უნდა იყოს, რომ მექანიკურად შეთავსებადი იყოს მეორე პროდუქტთან და თან თითოეულ მათგანს

---

<sup>34</sup> იქვე.

<sup>35</sup> Community Design Law, Principles and Practice by David Musker, Sweet&Maxwell, 2002. 33-34; ძამუკაშვილი დ., თუმანიშვილი კ., მეტრეველი ე., „სამრეწველო ნიმუში, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი“, უ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბ., 2003, №2

<sup>36</sup> ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი თბ. 2001, გვ. 103

შეიძლოს თავისი ფუნქციის შესრულება. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება დიზაინზე, რომელიც შესაძლებელს ხდის მრავალჯერადი ანცობის ან ურთიერთშეცვლადი პროდუქტების მოდულურ სისტემაში შეკავშირებას. ამის მაგალითს წარმოადგენს საბავშვო კონსტრუქტორი, რომელსაც გააჩნია ურთიერთშენწყობადი ელემენტები მოდულური სისტემის ასანწყობად<sup>37</sup>.

### **დიზაინზე უფლებების**

**მფლობელი.** დიზაინზე უფლებების მფლობელი შეიძლება იყოს დიზაინერი ან მისი უფლებამონაცლვე. თანადიზაინერთა ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში თანადიზაინერები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით. დიზაინერის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის ან შეკვეთის საფუძველზე შექმნილ დიზაინზე უფლებები ეკუთვნის დამსაქმებელს/დამკვეთს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული<sup>38</sup>.

### **დიზაინზე**

**განსაკუთრებული უფლებები.** დიზაინის რეგისტრაცია მის მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას, ნება დართოს ან აკრძალოს დიზაინით დაცული პროდუქტის დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, ექსპორტი, იმპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარად ჩართვა. დიზაინზე უფლებების მფლობელს

უფლება აქვს თავის შეხედულებისამებრ განკარგოს დიზაინი: გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს დიზაინი, გასცეს ლიცენზია, თავად დაამზადოს დიზაინით დაცული პროდუქტი, ჩართოს სამოქალაქო ბრუნვაში და მიიღოს სარგებელი. ლიცენზია შეიძლება იყოს ექსკლუზიური ან არაექსკლუზიური. არაექსკლუზიური ლიცენზიის გაცემა არ უკარგავს ლიცენზიარს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის გაცემის უფლებას. ექსკლუზიური ლიცენზია კი ლიცენზიის გამცემს უკარგავს ანალოგიური პირობებით სხვა ლიცენზიის

<sup>37</sup> ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი თბ. 2001, 105-106

<sup>38</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, წიგნში „ევროგაერთიანების აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა და საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები“, ღია საზოგადოება - საქართველო, თბ., 2011, გვ. 103

გაცემის უფლებას. დიზაინის დაცვის ვადა. დიზაინი რეგისტრაციაში შეიძლება გატარდეს ერთი ან რამდენიმე 5-წლიანი პერიოდით, მაგრამ არა უმეტეს 25 წლისა საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღიდან.<sup>39</sup>

### **დიზაინზე**

**განსაკუთრებული უფლებების ფარგლები.** დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების დარღვევად არ მიიჩნევა: დიზაინის პირადი სარგებლობისათვის გამოყენება; დიზაინის ექსპერიმენტული მიზნებისათვის გამოყენება; დიზაინის ასლის გადაღება, რომელიც სრულდება ციტირების ან სწავლების მიზნით; დიზაინის რომელიმე ქვეყნის საზღვაო ხომალდზე, საჰაერო ან სახმელეთო სატრანსპორტო საშუალებაზე გამოყენება მისი საქართველოს ტერიტორიაზე დროებით ყოფნის დროს; დიზაინის გამოყენება ფორსმაჟორის შემთხვევაში.<sup>40</sup>

მფლობელის მიერ ან მისი ნებართვით დიზაინით დაცული პროდუქტის სამოქალაქო ბრუნვაში წართვის შემდეგ, მფლობელის უფლებები ამ პროდუქტის შემდგომ გამოყენებაზე აღარ ვრცელდება (უფლებების ამონურვის პრინციპი).

**წინათსარგებლობის უფლება.** წინათსარგებლობის უფლება გულისხმობს პირის უფლებას, გამოიყენოს რეგისტრირებული დიზაინი, თუ იგი კეთილსინდისიერად იყენებდა ამ დიზაინს ან ჩაატარა მოსამზადებელი სამუშაოები მისი გამოყენებისათვის განაცხადის შეტანის ან პრიორიტეტის დადგენის თარიღამდე.<sup>41</sup>

### **დიზაინის**

**რეგისტრაციაზე უარის თქმის და რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები.** დიზაინის რეგისტრაციაზე უარის თქმის და რეგისტრაციის გაუქმების ძირითადი საფუძვლებია<sup>42</sup>: დიზაინი არ აკმაყოფილებს სიახლისა და ინდივიდუალურობის კრიტერიუმებს; დიზაინის

<sup>39</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, წიგნში „ევროგაერთიანების აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა და საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები“, ღია საზოგადოება - საქართველო, თბ., 2011, გვ. 103

<sup>40</sup> იქვე.

<sup>41</sup> ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი თბ., 2001, გვ. 31

<sup>42</sup> ვ. თუმანიშვილი, ე. მეტრეველი, დ. ჯანიაშვილი, „სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაცია (ყენვის აქტი)“, უ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბ., 2004, №1, გვ. 57

ნიშნები განპირობებულია მხოლოდ მათი ტექნიკური ფუნქციით; ობიექტი, მისი განმარტებიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს დიზაინს; დიზაინი ეწინააღმდეგება საზოგადოებრივ წესრიგს, ან მორალის მიღებულ ნორმებს; განმცხადებელი ან მფლობელი არ არის უფლებამოსილი დაარეგისტრიროს დიზაინი; დიზაინი შეიცავს „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით დაცულ ნაწარმოებებს; დიზაინი მთლიანად ან რომელიმე ელემენტით ემთხვევა საქართველოში დაცულ სასაქონლო ნიშანს; დიზაინი მთლიანად ან რომელიმე ელემენტით ემთხვევა საერთაშორისო ან მთავრობათაშორისი ორგანიზაციის ემბლემას, მის სრულ ან შემოკლებულ სახელწოდებას, ოფიციალურ საკონტროლო, საგარანტიო, სასინჯ დამლას, ბეჭედს, ორდენს, მედალს, საქართველოს ან მისი ტერიტორიული ერთეულის ისტორიულ დასახელებას, გერბს, დროშას, ემბლემას, ფულის ნიშანს; დიზაინის რეგისტრაცია განხორციელდა არაკეთილსინდისიერი განზრახვით.<sup>43</sup>

**დიზაინზე განსაკუთრებული უფლებების წარმოშობა.** საქართველოში დიზაინზე განსაკუთრებული უფლებები წარმოიშობა “საქპატენტში” რეგისტრაციის ან ჰაავის შეთანხმების საფუძველზე, საერთაშორისო რეგისტრაციის გავრცელების გზით.<sup>44</sup>

**საერთაშორისო რეგისტრაცია.** საქართველოს მოქალაქეს ან რეზიდენტს შესაძლებლობა აქვს, საერთაშორისო განაცხადის მეშვეობით დაარეგისტრიროს დიზაინი სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰაავის შეთანხმების მონაწილე ყველა ქვეყანაში.<sup>45</sup>

მას

შემდეგ, რაც 2002 წლიდან ევროპაში ამოქმედდა გაერთიანებული ევროპის კანონმდებლობა დიზაინის დაცვის შესახებ, მთელ სამყაროში დამკვიდრდა დიზაინის

<sup>43</sup> დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ., 2011, 44

<sup>44</sup> ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი თბ., 2001, გვ. 33

<sup>45</sup> კ. თუმანიშვილი, ე. მეტრეველი, დ. ჯანიაშვილი, „სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაცია (ყენევის აქტი)“, უ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბ., 2004, №1, გვ. 58; ციტირებულია: Intellectual Property in Europe, by Guy Tritton, Richard Devis, Michael Edenborough, James Graham, Simon Malinicz, Ashley Roughton, second edition, Sweet&Maxwell, 2002



დიზაინის დაცვის ობიექტისადმი. დღესდღეისობით ევროკავშირის ქვეყნებში დიზაინის დაცვის არსობრივი მხარე სრული ურთიერთშეთანხმებით არის გამორჩეული. ანალოგიური სამართლებრივი შეთანხმება დანარჩენ მსოფლიოში ჯერ კიდევ არ მომხდარა. ზოგიერთი სახის დიზაინისათვის დაცვის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, გლობალურ სივრცეში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე გარკვეულ სირთულეებს მოიცავს. მაგალითისთვის შეიძლება ავლნიშნოთ, რომ იაპონიაში, თუ დიზაინი მორთულობით და სამრეწველო ხასიათს არ ატარებს, შესაბამისად, ის დაცული ვერ იქნება ევროპისაგან განსხვავებით, რომლის კანონმდებლობაც, ერთიანი სამართლებრივი წესრიგი პრაქტიკულად ნებისმიერი დიზაინის დაცვას ექვემდებარება, ვინაიდან ეროვნული კანონების შეთანხმება გაერთიანებული ევროპის კანონმდებლობასთან უკვე დასრულებულია.<sup>46</sup> როგორც ცნობილია, დიზაინის დაცვისთვის ორ წესრგს იყენებენ: რეგისტრაციის გზით (ე.წ. რეგისტრირებული დიზაინი) და მის გარეშე (ე.წ. არარეგისტრირებული დიზაინი). ამ ორი წესრიგის მეშვეობით ნებისმიერი სახის დიზაინის სამართლებრივი დაცვის შესაძლებლობას იძლევა და ნაწარმის ახალი გარეგნობის შემქმნელისა და მფლობელის საკუთრების მსგავსი უფლებებით აღჭურვის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს.<sup>47</sup>

დიზაინის რეგისტრაციის უნარიანობა და რეგისტრაციის შედეგად მოპოვებული უფლებების ძალაში ყოფნა დამოკიდებულია ორ მთავარ არსობრივ კრიტერიუმზე, „სიახლესა“ და „ინდივიდუალობაზე“.<sup>48</sup>

ერთგვაროვანი კრიტერიუმების შესათავაზებლად დიზაინდირექტივის შემმუშავებელმა კომისიამ საგნობრივად შეისწავლა ეროვნული კანონები - საქმე იმ

<sup>46</sup> დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ., 2011, გვ. 19

<sup>47</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. თბ., 2012, გვ., 6

<sup>48</sup> ვ. თუმანიშვილი, ე. მეტრეველი, დ. ჯანიაშვილი, „სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაცია (ყენევის აქტი)“, უ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბ., 2004, №1, გვ. 59; დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ., 2011, გვ. 27

მოთხოვნების დაწესებას ეხებოდა, რომელთა დაკმაყოფილებაც აუცილებელია განსაზღვრების ფარგლებში მოქცეული დიზაინის სამართლებრივი დაცვის უზრუნველსაყოფად. გადასაწყვეტი იყო მხოლოდ ის საკითხი, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა ადრინდელ და სარეგისტრაციოდ წარდგენილ დიზაინებს. ამ მიზნით კომისიის მიერ მოხდა სამი შესაძლო კრიტერიუმის შერჩევა: „ორიგინალობა“, „სიახლე“ და „განმასხვავებელი ხასიათი“.<sup>49</sup> საბოლოოდ კომისიას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ კრიტერიუმების დაკმაყოფილება უნდა ყოფილიყო გადამწყვეტი რეგისტრაციაუნარიანობის განსაზღვრისას და ამავდროულად გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა უფლებების დარღვევის დადგენისას.<sup>50</sup> „ორიგინალობა“ თავიდანვე იქნა უარყოფილი და შედეგად, „სიახლე“ და „განმასხვავებლობა“ მიიჩნია მისარებად, მაგრამ გაითვალისწინა, რომ „განმასხვავებლობა“ კომერციული აღნიშვნების სამართლისეულია, დიზაინის შემოქმედებითი დონის განსაზღვრისათვის იგი მიუღებლად მიიჩნია და მის ნაცვლად „ინდივიდუალური ხასიათი“ შემოიღო. შედეგად, კრიტერიუმებად „სიახლე“ და „ინდივიდუალურობა“ დააწესა. ხოლო, პირობა პირდაპირაა მითითებული დიზაინდირექტივის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტში, ანუ დიზაინდირექტივამ შემოიტანა ერთგვაროვანი არსობრივი კრიტერიუმების დაწესების მოთხოვნა გაერთიანებული ევროპის ყველა სახელმწიფოსთვის.

დიზაინის მე-4 მუხლის მიხედვით, ევროგაერთიანების დიზაინი დაცვას ექვემდებარება მხოლოდ მაშინ, როცა ის ახალია და აქვს ინდივიდუალობა. აქედან გამომდინარე, ამ მოთხოვნის სავალდებულო ძალამ უარყო არსებული ვითარება, როდესაც ევროპის ქვეყნებში სხვადასხვა არსობრივი კრიტერიუმები იყო დაწესებული და დიზაინის დასაცავად განსხვავებული სამართლებრივი მიდგომა იყო ჩამოყალიბებული.<sup>51</sup>

<sup>49</sup> კ. თუმანიშვილი, ე. მეტრეველი, დ. ჯანიაშვილი, „სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაცია (ჟენევის აქტი)“, ჟ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბ., 2004, №1, გვ. 59; დ. ძაბუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ., 2011, გვ. 28

<sup>50</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. თბ., 2012, გვ., 7

<sup>51</sup> იგივე, გვ., 7-8

შეჯამების მიზნით ავლნიშნავთ, რომ დაცვას ექვემდებარება ისეთი დიზაინი, რომელიც განსაზღვრებას აკმაყოფილებს და პასუხობს სამ არსობრივ მოთხოვნას (კრიტერიუმს):სიახლეს, ინდივიდუალობას და ხილულობას. ვინაიდან ხილულობა არ წარმოადგენს რთულად გასაგებ მოთხოვნას, ამიტომ ჩვენს ინტერესს დარჩენილ კრიტერიუმების განხილვა-გაანალიზებას დავუთმობთ.<sup>52</sup>

### სიახლე.

ინტელექტუალური უფლებების სამართალში დამკვიდრებულია სამართლებრივი პრინციპი, რომ ბუნებაში არსებული ობიექტის ერთპიროვნული დაუფლება დაუშვებელია. ამ პრინციპის დასაკმაყოფილებლად სამრეწველო საკუთრების ისეთი ობიექტების დაცვისუნარიანობის დასადგენად, რომლებიც შემემნელობითი ინტელექტუალური შემოქმედების შედეგია, საყოველთაოდაა შემოღებული სიახლის კრიტერიუმი. დიზაინი, გამოგონების მსგავსად, აღნიშნულ ობიექტთა რიცხვს მიეკუთვნება და სრულიად ბუნებრივია სიახლის მოთხოვნა დაწესდეს უფლებების მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის.

სიახლის შემონმების შეზღუდვა

დროით ან/და გარკვეული გეოგრაფიული სივრცით, საჭიროებით გამონვეული ხელოვნური გადანყვეტილებაა. ნათელია, რომ აღნიშნული სახის გადანყვეტილება მისაღები არაა დღესდღეისობით არსებული ინფორმაციის გავრცელების საშუალებების, გამოგონებისა და ბაზრობების ევროპასა და მის ფარგლებს გარეთ მონყობის სიმრავლის გამო, აგრეთვე, ვაჭრობის საერთაშორისო განფენოლების გათვალისწინებით.<sup>53</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან

გამომდინარე დიზაინი უნდა ჩაითვალოს ახლად, მაშინ როცა ის ან მისი მსგავსი დიზაინი საერთოდ უცნობია მოცემულ სფეროში მოსაქმეთათვის ან მისი მსგავსი სხვა დიზაინი ცნობილია, მაგრამ სპეციალისტთა შეფასებით ის საკმარისად გამოირჩევა ამ ცნობილისაგან შემოქმედებითი განვითარების კუთხით.

<sup>52</sup> ს. ჯორბენაძე, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988, გვ. 19

<sup>53</sup> იგივე. გვ. 20

სიახლის ასეთმა გაგებამ საყოველთაოდ მოიკიდა ფეხი დღევანდელ ევროპაშიც. საქართველოს კანონმდებლობაც ამ მიმართულებით ვითარდება, რასაც იმედია არც სასამართლო პრაქტიკა ჩამორჩება. ამასთან, უნდა განიმარტოს, თუ რამ შეიძლება შეადგინოს დიზაინის სფეროში ცოდნის არსებული დონე, რომლის მიხედვითაც უნდა შეფასდეს ორივე ეტაპზე შესამონმებელი არსობრივი კრიტერიუმები<sup>54</sup>.

**ინდივიდუალობა.** ინტელექტუალური შემქმნელობითი შემოქმედების შედეგად მიღებული ობიექტები - ნაწარმოები და გამოგონება, ასევე, კომერციულ აღნიშვნად გამოსაყენებელი დიზაინიც (მაგ. სასაქონლო ნიშნად), ახლად შექმნილი სიმბოლოთა მსგავსად დაცვას მაშინ ექვემდებარება, როდესაც სიახლესთან ერთად შემოქმედებითი დონის განმსაზღვრელ კრიტერიუმს დააკმაყოფილებს. ამ შემთხვევაში საქართველომ აირჩია გაერთიანებული ევროპის სამართალთა ჰარმონიზაციის გზა და ახალი კანონით შესაბამისი კრიტერიუმი „ინდივიდუალობა“, რომელიც დიზაინის დაცვის აუცილებელ წინაპირობად შემოიღო<sup>55</sup>.

კრიტერიუმის „ინდივიდუალობა“ დიზაინდირექტივისეული განმარტებით შესაძლებელი ხდება ევროპაში ერთიანი ზღურბლის დანესება დიზაინ ისათვის სავალდებულო შემოქმედებითი დონის კრიტერიუმის დასადგენად.

დიზაინის დაცვის ერთიანი რეჟიმის ფუნქციონირებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შეფასების ერთგვაროვანი პრაქტიკის დამკვიდრებას, რასაც ხელს უწყობს დიზაინდირექტივის სადეკლარაციო ნაწილის ციტირებული მუხლის სწორად გაგების პრაქტიკაში დამკვიდრება<sup>56</sup>.

ამ ამოცანის მიღწევას ხელს დიდად შეუწყობს ინდივიდუალობის განსაზღვრების გამოყოფილი ელემენტების ერთგვაროვანი გაგების ჩამოყალიბება. საქართველოსთვის

---

<sup>54</sup> კ. თუმანიშვილი, ე. მეტრეველი, „ევროკავშირის დირექტივა სამრეწველო ნიმუშების, სამართლებრივი დაცვის შესახებ“, უ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბ., 2007, №1, 44-45

<sup>55</sup> დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ., 2011, გვ. 62

<sup>56</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. თბ., 2012, გვ., 8

ეს ძალზედ მნიშვნელოვანია, რადგანაც ახალი კანონი აგებულია გაერთიანებული ევროპის კანონმდებლობის მიხედვით.

### 2.3 დიზაინის რეგისტრაცია

დიზაინის რეგისტრაციის წესი<sup>57</sup>. განმცხადებლის მიერ საფასურის გადახდის შემთხვევაში, კანონის 21-ე მუხლის შესაბამისად, საქპატენტი არეგისტრირებს დიზაინს რეესტრში. რეგისტრირებულ მონაცემებს აქვეყნებს ბიულეტენშიდა გასცემს მოწმობას.

დიზაინის რეგისტრაციის საფასურის გადახდის შესახებ შეტყობინება განმცხადებელს საქპატენტის მიერ ეგზავნება კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ერთი თვის ვადაში. რეგისტრაციისა და დიზაინის რეგისტრაციის პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნებისათვის დადგენილი საფასური გადაიხდება ერთდროულად, განმცხადებლისათვის ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შეტყობინების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში. საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, განაცხადზე საქმისწარმოება წყდება. თუ განაცხადი შეიცავს რამდენიმე დიზაინს, ხოლო

---

<sup>57</sup> საქარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება №03 2011 წლის 14 დეკემბერი, ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე. მუხლი 27

რეგისტრაციისათვის და პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნებისათვის გადახდილი საფასური ნაკლებია განაცხადში შემავალი დიზაინების რეგისტრაციისათვის და პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნებისათვის დადგენილი საფასურის ოდენობაზე, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ, რომლის მიღებიდან ერთი თვის ვადაში განმცხადებელი ვალდებულია სრულად გადაიხადოს რეგისტრაციისა და პირველი ხუთი წლით ძალის შენარჩუნებისათვის დადგენილი საფასური, ან მიუთითოს, რომელი დიზაინი უნდა დარეგისტრირდეს. თუ განმცხადებელი არ შეასრულებს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, საქპატენტი რიგითობის მიხედვით დაარეგისტრირებს განაცხადში შემავალ იმდენ დიზაინს, რამდენისთვისაც საკმარისია გადახდილი საფასური. საქპატენტი დიზაინის რეგისტრაციის დღიდან ერთი თვის ვადაში გასცემს მოწმობას. საქპატენტი აქვეყნებს მონაცემებს იმ დიზაინების შესახებ, რომლებიც იყო გამოქვეყნებული, მაგრამ არ დარეგისტრირდა<sup>58</sup>.

**საფასურის გადახდის წესი<sup>59</sup>.** თუ კანონით ან ამ ინსტრუქციით სხვა რამ არ არის დადგენილი, საფასურის გადახდა უნდა მოხდეს საქპატენტის შესაბამისი მოთხოვნის მიღებიდან ერთი თვის ვადაში. კანონით გათვალისწინებული იმ ქმედებებისათვის, რომელიც მოითხოვება განმცხადებლის, დიზაინის მფლობელის ან/და მესამე პირის მიერ, საფასური გადაიხდება ასეთი ქმედების მოთხოვნით საქპატენტისთვის მიმართვისთანავე. საფასურის გადახდისათვის დადგენილი ვადის გაგრძელება არ დაიშვება, გარდა ამ ინსტრუქციით გათვალისწინებული შემთხვევისა. შესაძლებელია განმცხადებლის მიერ საფასურის წინასწარ გადახდა. იმ შემთხვევაში, თუ საფასური წინასწარ გადახდილია ისეთი ქმედებისთვის, რომელიც არ შესრულდა, განმცხადებელს უბრუნდება გადახდილი თანხის 80%. თუ განაცხადი შეტანილია რამდენიმე განმცხადებლის მიერ, რომელთაგან ერთ-ერთზე არ ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საფასურებთან

---

<sup>58</sup> საქარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება №03 2011 წლის 14 დეკემბერი, ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე; <http://www.sakpatenti.gov.ge/ka>

<sup>59</sup> ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის შესახებ. მუხლი 28

დაკავშირებული შეღავათი, შესაბამისი ქმედებისთვის საფასური გადაიხდება შეღავათის გარეშე. თუ განაცხადი შეტანილია რამდენიმე განმცხადებლის მიერ და მათზე ვრცელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვადასხვა სახის შეღავათი, შესაბამისი ქმედებისათვის გადაიხდება ის საფასური, რომლისთვისაც გათვალისწინებულია უფრო დაბალპროცენტიანი შეღავათი. განმცხადებლის მიერ საფასურის გადახდა უნდა მოხდეს საქპატენტის საბანკო ანგარიშზე.<sup>60</sup>

**საქმისწარმოების აღდგენის საფასური<sup>61</sup>.** საქმისწარმოების შეწყვეტიდან 6 თვის ვადაში საქმისწარმოების აღდგენისათვის გადაიხდება მხოლოდ საქმისწარმოების აღდგენის საფასური. თუ საქმისწარმოება შეწყვეტილია შესაბამისი ქმედებისთვის საფასურის გადაუხდელობის გამო, საქმისწარმოების აღდგენის საფასურთან ერთად ასევე გადაიხდება ამ ქმედებისათვის დადგენილი საფასური.

**დიზაინის რეგისტრაციის ძალის შენარჩუნების საფასური.<sup>62</sup>** პირველი ხუთი წლისათვის დიზაინის რეგისტრაციის ძალის შენარჩუნების საფასური გადაიხდება რეგისტრაციის საფასურთან ერთად, ხოლო მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ხუთწლიანი პერიოდებისათვის რეგისტრაციის ძალის შენარჩუნების საფასური გადაიხდება მიმდინარე ხუთწლიანი პერიოდის მეხუთე წლის განმავლობაში. ხოლო, მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე ხუთწლიანი პერიოდებისათვის დიზაინის რეგისტრაციის ძალის შენარჩუნების საფასურის ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში მფლობელს საფასურის გადახდისათვის ეძლევა ექვსთვიანი საშეღავათო ვადა, რომელიც მოიცავს დიზაინის რეგისტრაციის ძალის შენარჩუნების მომდევნო ხუთწლიულის პირველ ექვს თვეს. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საშეღავათო ვადის განმავლობაში

---

<sup>60</sup> საქარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება №03 2011 წლის 14 დეკემბერი, ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე; <http://www.sakpatenti.gov.ge/ka>

<sup>61</sup> ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის შესახებ. მუხლი 29

<sup>62</sup> ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის შესახებ. მუხლი 30

მფლობელის მიერ საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, დიზაინის რეგისტრაცია უქმდება.<sup>63</sup>

**დიზაინის დაჩქარებული რეგისტრაცია.**<sup>64</sup> დიზაინის დაჩქარებული რეგისტრაციის პროცედურა ხორციელდება კანონის 22-ე მუხლით და ამ ინსტრუქციით დადგენილი წესით<sup>65</sup>. განაცხადზე დაჩქარებული რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში დაუშვებელია ამ ინსტრუქციის მე-19 მუხლით გათვალისწინებული გამოქვეყნების გადადება. განაცხადს დაჩქარებული რეგისტრაციის მოთხოვნით უდასტურდება შეტანის თარიღი და მისი ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზა ტარდება განაცხადის შეტანიდან სამი დღის ვადაში, თუ გადახდილია დაჩქარებული რეგისტრაციისათვის დადგენილი შესაბამისი საფასური. იმ შემთხვევაში, თუ განაცხადი შეიცავს 50-ზე მეტ დიზაინს, ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის ვადა შეიძლება გაგრძელდეს 7 დღემდე. თუ განაცხადი წარდგენილია კანონისა და ამ ინსტრუქციით დადგენილი წესების დაცვით, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას ფორმალური მოთხოვნების ექსპერტიზის დასრულების შესახებ. თუ განაცხადი არ აკმაყოფილებს კანონის 22-ე მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, განმცხადებელს ეგზავნება შეტყობინება ხარვეზის დადგენის შესახებ და ხარვეზის შესავსებად ეძლევა შეტყობინების ჩაბარებიდან 15 დღე. თუ აღნიშნულ ვადაში განმცხადებელი არ შეავსებს დადგენილ ხარვეზს, საქპატენტი იღებს გადაწყვეტილებას დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ და განაცხადს განიხილავს კანონით და ამ ინსტრუქციით დადგენილი ჩვეულებრივი წესით. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ საქპატენტის მიერ გამოტანილ იქნება გადაწყვეტილება დაჩქარებული ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმის შესახებ,

---

<sup>63</sup> საქარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება №03 2011 წლის 14 დეკემბერი, ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე; <http://www.sakpatenti.gov.ge/ka>

<sup>64</sup> ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის შესახებ. მუხლი 31

<sup>65</sup> საქარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება №03 2011 წლის 14 დეკემბერი, ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე; <https://matsne.gov.ge/>



განმცხადებელს უბრუნდება გადახდილი დაჩქარებული რეგისტრაციისათვის დადგენილი საფასურის 50%. საქპატენტი დიზაინის გამოქვეყნებისა და რეგისტრაციისათვის დადგენილი საფასურის გადახდის შემთხვევაში არეგისტრირებს დიზაინს რეესტრში, აქვეყნებს რეგისტრირებული დიზაინის შესახებ მონაცემებს ბიულეტენში და გასცემს მონშობას, დაჩქარებული რეგისტრაციის თაობაზე გადანყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. კანონის 22-ე მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაჩქარებული რეგისტრაციისათვის გადახდილი საფასური უკან არ ბრუნდება.<sup>66</sup>

## 2.4 დიზაინის დაცვის სამართლებრივი რეგულირება

### 2.4.1 დიზაინის დაცვის სამართლებრივი რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით

2010 წლის 4 მაისიდან საქართველოში არსებობს ახალი კანონი დიზაინის შესახებ. დიზაინზე უფლება არის ისეთი გადამონშებული უფლება, რომელიც წარმოიშობა საქპატენტში რეგისტრაციის შედეგად. ამ უფლებების დაცვის წინაპირობებისა და ამ უფლებებიდან გამომდინარე თავად დიზაინერის უფლებების თვალსაზრისით იგი ძირითადად შეესაბამება გერმანიის დიზაინის სამართალს და ევროკავშირის დიზაინის შესახებ დადგენილების მიხედვით ევროკავშირის დიზაინს.<sup>67</sup> საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს კანონი „დიზაინის შესახებ“ აღიარებს

---

<sup>66</sup> საქარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის ბრძანება №03 2011 წლის 14 დეკემბერი, ინსტრუქცია დიზაინის რეგისტრაციის თაობაზე; <https://matsne.gov.ge/>

<sup>67</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა - მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, თბ., 2012, გვ. 103

ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის – დიზაინის – საკუთრების უფლების ხელშეუვალობას, რომელიც აწესრიგებს დიზაინის შექმნასთან, რეგისტრაციასთან, გამოყენებასთან, სამართლებრივ დაცვასთან და აქედან გამომდინარე უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება დიზაინზე, რომელიც კანონით დადგენილი წესით რეგისტრირებულია ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – „საქპატენტის“ მიერ სამრეწველო საკუთრების რეესტრში (შემდგომში – რეესტრი) ან რომელზედაც ვრცელდება საერთაშორისო რეგისტრაცია.<sup>68</sup> დიზაინი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქპატენტში ან რომელზედაც არ ვრცელდება საერთაშორისო რეგისტრაცია, დაცულია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.<sup>69</sup> დიზაინის სამართლის დაცვის საგანია ნიმუში (დიზაინი). დიზაინის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მიხედვით დაცვას ექვემდებარება ორ ან სამგანზომილებიანი გამოსახულების ფორმები სამრეწველო ან ხელნაკეთი საგნისა, ან მისი ნაწილის, მათ შორისო საფუთავი, გაფორმება, გრაფიკული სიმბოლოები, და მათ შორიდ ხაზებისგან, ფერებისგან, ფორმებისგან, ზრდაპირის ტექსტურისგან ანდა თავად ნიმუშის მასალიდან, ანდა პროდუქტის მორთვისგან. სამრეწველო და ხელნაკეთი პროდუქტის ცნებაში გადამწყვეტია ის, რომ გამოსახულებები რეპროდუცირებად უნდა იყოს, რათა შესაძლებელი იყოს მათი შესაბამისობა შენახულ ნიმუშთან. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ დაცვას ექვემდებარება დიზაინის კონკრეტული გამოსახულება, რომელიც შენახულია რეგისტრაციის დროს და ასევე არა პროდუქტის გამოსახულების ფორმა.<sup>70</sup>

საქართველოს ზემოაღნიშნული კანონმდებლობის შესაბამისად დაცვას არ ექვემდებარება დიზაინის ის ნიმუშები, რომლებიც განპირობებულია მხოლოდ მათი

<sup>68</sup> ი. ტოლკმიტი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მოკლე კონსპექტები, თბ., 2011. გვ. 83

<sup>69</sup> ვ. თუმანიშვილი, ე. მეტრეველი, დ. ჯანიაშვილი, „სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაცია (ყენევის აქტი)“, ყ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბ., 2004, №1, გვ. 62

<sup>70</sup> ი. ტოლკმიტი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მოკლე კონსპექტები, თბ., 2011. გვ. 84

ტექნიკური ფუნქციებით, ესე იგი, რომლენისთვისაც არ არსებობს გამოსახულების ალტერნატივა. ასევე ამოღებულია დაცვიდან კომპიუტერული პროგრამები.

საქართველოს კანონმდებლობით დიზაინი ექვემდებარება დაცვას მხოლოდ მაშინ, თუ იგი სიახლეს წარმოადგენს<sup>71</sup>. დიზაინს აქვს სიახლე, თუ განაცხადის წარდგენის დღემდე არც ერთი მისი იდენტური დიზაინი არ ყოფილა ხელმისაწვდომი საჯაროდ. დიზაინები მაშინაც ითვლება იდენტურად, თუ მათი ნიშნები მხოლოდ უმნიშვნელო დეტალებისთ განსხვავდება ერთმანეთისაგან.<sup>72</sup> კანონის მე-6

მუხლის შესაბამისად დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომად მიიჩნევა, თუ იგი იყო გამოქვეყნებული, გამოფენილი, ჩართული სავაჭრო მიმოქცევაში ან სხვა გზით გახდა საჯაროდ ცნობილი. საჯაროობის ეს ფართო ცნება იმით არის შეზღუდული, რომ დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომად არ მიიჩნევა, თუ მიუხედავად ზემოთ მოცემული წინაპირობისა საჯაროობასთან დაკავშირებული ქმედებები არ იყო იმგვარი, რომ იგი ჩვეულებრივი წესით საჯაროდ ცნობილი გამხდარიყო პირებისათვის, რომლებიც საქართველოში მოცემულ სფეროში საქმიანობენ. ასევე არ ითვლება დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომად, თუ მასზე ინფორმაცია მესამე პირს მიეწოდა აშკარა ან კონკლუდენტური კონფიდენციალურობის პირობით.<sup>73</sup>

ამასთან ერთად მე-6 მუხლის მესამე ნაწილი იძლევა დიზაინზე ინფორმაციის დაცვის 12 თვიან ვადას. ამ ვადის განმავლობაში ავტორს შეუძლია თავისი ნიმუში ბაზარზე გატანამდე გასინჯოს, ისე რომ მას რეგისტრაციისას ვერ შეედავებიან იმ არგუმენტით, რომ ეს ნიმუში უკვე მისაწვდომი იყო საჯაროობისთვის და ამიტომ სიახლეს არ წარმოადგენს. ეს ვადა მოქმედებს მხოლოდ ავტორსა და მისი სამართალმემკვიდრეებისათვის. ამას გარდა იგი მოქმედებს მესამე პირთა არაკეთილსინდისიერი მოქმედებების შემთხვევაში.

<sup>71</sup> საქართველოს კანონი „დიზაინის შესახებ“, მუხლი 3. პუნქტი 4,5

<sup>72</sup> ი. ტოლკმითი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მოკლე კონსპექტები, თბ., 2011. გვ. 84

<sup>73</sup> ძამუკაშვილი დ., ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი თბ., 2001. გვ. 84

დიზაინი არა მხოლოდ ახალი უნდა იყოს, მას ინდივიდუალურობაც უნდა გააჩნდეს<sup>74</sup>. დიზაინი ინდივიდუალურია, თუ საერთო შთაბეჭდილება, რომელსაც ის ახდენს ინფორმირებულ მომხმარებელზე განსხვავდება საერთო შთაბეჭდილებისგან, რომელსაც ამავე მომხმარებელზე ახდენს სხვა მისთვის ნაცნობი დიზაინი, ამასთან ერთად გასათვალისწინებელია მისი შექმნისას დიზაინერის გამომსახველობითი თავისუფლების ხარისხი. დიზაინერის გამომსახველობითი თავისუფლება შეიძლება ტექნიკური მოთხოვნების გამო ან მოცემული ნიმუშის დარგში არსებული ნიმუშების დიდი ოდენობის გამო შეზღუდული იყოს.<sup>75</sup> ამ შემთხვევაში

საქმე ეხება არა გაფორმების ხარისხს, არამედ მხოლოდ ზოგადი შთაბეჭდილებით დადგენილ განსხვავებას (განსხვავების სიძლიერეს) ნაცნობ ნიმუშთან შედარებით. ეს უნდა დადგინდეს კონკრეტული შედარებით მანამდე არსებული დიზაინის ნიმუშთან. აქაც გასათვალისწინებელია მე-6 მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული ვადა.<sup>76</sup>

დიზაინის ნიმუში ექვემდებარება დაცვას მისი რეგისტრაციის მომენტიდან ხუთი წლის ვადით და ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს ყოველჯერზე ხუთი წლის არაუმეტეს 25 წლისა<sup>77</sup>

დაცვითი უფლების რეგისტრაციამდე უნდა შემონმდეს დიზაინის სიახლე. თუმცა ეს შემონმება შემოიფარგლება საქპატენტში და საერთაშორისო რეესტრებში შენახულ ნიმუშებთან შედარებით. ინდივიდუალურობის შემონმება არ ხდება. ამიტომ საკითხავია, მოცემული ნიმუშის ინდივიდუალურობის ნაკლი შეიძლება თუ არა არგუმენტას გამოყენებულ იქნას უფლების დაცვის პროცესში, თუ უნდა ამოვიდეთ ნიმუშის სამართლებრივი უნაკლობისგან და ამგვარად უფლების დაცვის დამაბრკოლებელ გარემოებებზე განაცხადი შეიძლება მხოლოდ რეგისტრაციის

<sup>74</sup> საქართველოს კანონი „დიზაინის შესახებ“, მუხლი 3. პუნქტი 4 და 8

<sup>75</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. თბ., 2012, გვ., 9

<sup>76</sup> ი. ტოლკმიტი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მოკლე კონსპექტები, თბ., 2011. გვ. 84

<sup>77</sup> საქართველოს კანონი „დიზაინის შესახებ“, მუხლი 5. პუნქტი 3

გაუქმების შესახებ სარცელით იქნეს წარმოდგენილი, რომელიც თავდაპირველად დიზაინის ნიმუშის ბათილად გამოცხადებას გამოიწვევდა.<sup>78</sup>

ლეგიტიმაცია უფლების დაცვაზე (აქტიური ლეგიტიმაცია) - უფლების დარღვევის შესახებ პროცესში სარჩელის შეტანაზე უფლებამოსილია მხოლოდ უფლების მესაკუთრე, ლიცენზიის მქონე პირს ლიცენზიის მიმცემის თანხმობის გარეშე შეუძლია განაცხადოს დიზაინთან დაკავშირებული უფლების დარღვევის შესახებ მხოლოდ მაშინ, თუ დიზაინის მფლობელი გონიერი ვადის განმავლობაში უფლების დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღების შემდეგ თავად არ შეიტანს სარჩელს.<sup>79</sup> აღნიშნული ნორმის უფლების დარღვევას მე-4 მუხლის მიხედვით ადგილი აქვს, როდესაც სხვა ნიმუში მოცემული დიზაინის დაცვის ფარგლებში შეიჭრება. ეს ხდება ყოველი იმ დიზაინის შემთხვევაში, რომელიც არ გამოიწვევს განსხვავებულ ზოგად შთაბეჭდილებას, ე.ი. არ არის ინდივიდუალური. აქაც გასათვალისწინებელია დიზაინერის თავსუფლების ხარისხიც. შემონახვა უნდა მოხდეს მოცემული ნიმუშისა და უფლების დამრღვევი დიზაინის კონკრეტული შედარებით. 30-ე მუხლი ასახელებს უფლების დარღვევის სხვადასხვა სახეებს: დამზადება, შეთავაზება, გაყიდვა, ბრუნვაში ან გამოყენება პროდუქტისა, რომელშიც ეს დიზაინი არის ჩართული. ასევე დაუშვებელია პროდუქტის ფლობა ჩამოთვლილი მიზნების განხორციელებისათვის.<sup>80</sup> კანონის 26-ე მუხლის მე-5 პუნქტში ჩამოთვლილია შემთხვევები, როდესაც უფლების დარღვევას ადგილი არა აქვს, განსაკუთრებით დიზაინის პირადი სარგებლობისთვის, ან ექსპერიმენტული მიზნებისთვის გამოყენებისას და სხვა. ამა გარდა, უფლება დიზაინზე ამონურულია, თუ დიზაინის შემცველი პროდუქტები დიზაინის მფლობელის თანხმობით სამოქალაქო პრუნვაში ჩართული იქნება. აგრეთვე, კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, სამართლებრივი შედეგები მიუთითებს უფლების დარღვევის შემთხვევაში

<sup>78</sup> ი. ტოლკმიტი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მოკლე კონსპექტები, თბ., 2011. გვ. 85

<sup>79</sup> საქართველოს კანონი „დიზაინის შესახებ“, მუხლი 32. პუნქტი 7

<sup>80</sup> ი. ტოლკმიტი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, მოკლე კონსპექტები, თბ., 2011. გვ. 85-86

პასუხისმგებლობაზე ზოგადი ნორმების შესაბამისად. ამასთან საფიქრალია, რომ ყველაზე დიდი მნიშვნელობა მიენიჭება სარცელებს უმოქმედობისა და ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით.<sup>81</sup> დიზაინთან დაკავშირებული მოთხოვნების გადასამონმებელი სქემა:

1. უფლების დაცვის შესაძლებლობა
  - ა) ნიმუშად ვარგისიანობა
  - ბ) სიახლე
  - გ) ინდივიდუალურობა
  - დ) დაცვის ვადა
2. ლეგიტიმაცია უფლების დაცვაზე (აქტიური ლეგიტიმაცია)
3. უფლების დარღვევა
  - ✓ საერთო შთაბეჭდილების შესაბამისად გამომსახველობითი თავისუფლების გათვალისწინებით
4. უფლების დარღვევის მართვინააღმდეგობა
  - ✓ ნებართვის მიცემა დიზაინის უფლების მფლობელის მიერ ან კანონით
5. პასიური ლეგიტიმაცია (პასუხისმგებლობა სამართლებრივი შედეგები)

#### 2.4.2 დიზაინის დაცვის სამართლებრივი რეგულირება საერთაშორისო ხელშეკრულებებით

სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენცია (1883). სამრეწველო საკუთრების დაცვის საერთაშორისო რეგულირებას საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის ბოლოსკენ, მას შემდეგ, რაც ხელი მოეწერა სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის

---

<sup>81</sup> იან ტოლკმიტი.

კონვენციას (1883) თავდაპირველად, სწორედ, აღნიშნული კონვენციით მოხდა ეროვნული რეჟიმის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გავრცელება და დაცვის მინიმალური მოთხოვნების დადგენა. პარიზის

კონვენცია ეხება სამრეწველო საკუთრების ობიექტებს. ხოლო, მისი მატერიალური ნორმები იყოფა სამ ძირითად კატეგორიად. კერძოდ, დებულებათა პირველ კატეგორიას განეკუთვნება ეროვნული რეჟიმის უფლება (მუხლი 2), მეორე კატეგორიას - ე.წ. პრიორიტეტის უფლება (მუხლი 4), ხოლო მესამე კატეგორია კი სამრეწველო საკუთრების ობიექტის ზოგად ნორმებს აერთიანებს.<sup>82</sup> (1) ეროვნული რეჟიმის

შესახებ არსებული დებულების მიხედვით, კონვენცია უზრუნველყოფს, რომ თითოეულმა მონაწილემ სახელმწიფომ, სხვა მონაწილემ სახელმწიფოთა მოქალაქეებს, სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებით მიანიჭოს იგივე დაცვა, როგორსაც ანიჭებს საკუთარ მოქალაქეებს.<sup>83</sup> (2) გამოგონების, სასარგებლო

მოდელების, ნიშნებისა და სამრეწველო ნიმუშების შემთხვევაში კონვენცია ითვალისწინებს პრიორიტეტის უფლებას. ეს უფლება ნიშნავს, რომ ერთ-ერთ მონაწილემ სახელმწიფოში, სამრეწველო საკუთრების უფლებაზე შეტანილი სწორად გაფორმებული განაცხადის საფუძველზე, მისი შეტანის თარიღიდან დროის გარკვეულ პერიოდში (გამოგონებებისა და სასარგებლო მოდელებისათვის 12 თვე, ხოლო სამრეწველო ნიმუშებისა (დიზაინის) და სასაქონლო ნიშნებისათვის 6 თვე) მოითხოვოს საკუთარი უფლებების დაცვა ყველა სხვა მონაწილემ სახელმწიფოშიც. ამასთან, ასეთი მოგვიანებით შეტანილი განაცხადი, პირველი (ანუ ყველაზე ადრინდელი) განაცხადის შეტანის დღეს შეტანილად განიხილება და სარგებლობს პრიორიტეტით (უპირატესობით), ამ ქვეყნებში მასზე უფრო ადრე შეტანილ ყველა განაცხადის მიმართ.<sup>84</sup>

(3) კონვენცია შეიცავს ყველა მონაწილემ სახელმწიფოსათვის

<sup>82</sup> <http://www.sakpatenti.gov.ge/ka>

<sup>83</sup> მუხლი 2; <https://matsne.gov.ge/>

<sup>84</sup> მუხლი 4; <https://matsne.gov.ge/>

სავალდებულო რამდენიმე ზოგად ნორმას, რომლებიც ადგენენ იმ პირობებს, რომლის საფუძველზეც სახელმწიფოს არ აქვს უფლება უარი თქვას სამრეწველო საკუთრების უფლების დაცვაზე, აგრეთვე იმ პირობებს, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს უარის სათქმელად.

საქართველო ითვლება პარიზის კონვენციის მონაწილე მხარედ 1991 წ. 25 დეკემბრიდან, კონვენცია ასევე შეიცავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციასთან დაკავშირებულ სპეციალურ ნორმებს. 2011 წ. 15 იანვრის მონაცემებით, პარიზის კონვენციის მონაწილე ქვეყნების რაოდენობა უდრის 173. პარიზის კონვენციის მოქმედება ასევე ვრცელდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ყველა წევრ ქვეყანაზე. საქართველო ითვლება პარიზის კონვენციის მონაწილე მხარედ 1991 წ. 25 დეკემბრიდან.

**ჰააგის შეთანხმება სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (1925)<sup>85</sup>.** ძალაშია ჰააგის შეთანხმების სამი 1934, 1960 და 1999 წლების აქტები. თუმცა, დღესდღეობით, საერთაშორისო რეგისტრაციის 99%-მეტი რეგულირდება ბოლო ორი აქტის საფუძველზე. სამრეწველო ნიმუშის საერთაშორისო რეგისტრაციის მოთხოვნა შესაძლებელია უშუალოდ ისმო-ს საერთაშორისო ბიუროსაგან ან წარმოშობის ქვეყნის სამრეწველო საკუთრების უწყების მეშვეობით. საერთაშორისო რეგისტრაციას, განმცხადებლის მიერ მითითებული შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოს ტერიტორიაზე გააწვია, როგორც უშუალოდ ეროვნულ რეგისტრაციას. რეგისტრაციის მოქმედება შეიძლება გავრცელდეს წარმოშობის ქვეყანაზეც. საერთაშორისო რეგისტრაციის მოთხოვნის უფლება 1999 წ. აქტის შესაბამისად აქვს მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქეს ან რეზიდენტს. შეთანხმების მხარეს შეუძლია უარი თქვას დაცვის მინიჭებაზე, მხოლოდ ფორმალური მოთხოვნებისაგან განსხვავებულ ეროვნული მოთხოვნების საფუძველზე. 1999 წ. აქტის მიხედვით, შეთანხმების მონაწილე შეიძლება გახდეს საერთაშორისო ორგანიზაციაც, რომელსაც აქვს სამრეწველო ნიმუშის რეგისტრაციის უწყება. დაცვის ვადა

---

<sup>85</sup> <http://www.sakpatenti.gov.ge/ka>



განისაზღვრება 5 წლით საერთაშორისო რეგისტრაციის თარიღიდან და მისი გაგრძელება დასაშვებია, ერთხელ 5 წლით 1960 წლის აქტით და ორი ასეთი პერიოდით 1999 წლის აქტით. 2011 წლის 15 იანვრისათვის ჰააგის შეთანხმება 57 მონაწილე მხარეს აერთიანებდა. საქართველო შეთანხმებას მიუერთდა 2003 წლის 1 აგვისტოს.

**ჰააგის შეთანხმება დიზაინების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ (1999 წლის 2 ივლისის უენევის აქტი)<sup>86</sup>. ამ აქტის მიზნებისათვის:**

- (I) „ჰააგის შეთანხმება“ ნიშნავს დიზაინების საერთაშორისო დეპონირების ჰააგის შეთანხმებას, რომელსაც შემდგომ დაერქვა დიზაინების საერთაშორისო რეგისტრაციის ჰააგის შეთანხმება;
- (II) „ეს აქტი“ ნიშნავს ჰააგის შეთანხმებას, რომელიც დადებულია ამ აქტით;
  - (1) მონაწილე მხარეების კანონები და განსაზღვრული საერთაშორისო ხელშეკრულებები - ამ აქტის დებულებები გავლენას არ ახდენს ნებისმიერ მეტ დაცვაზე, რომელიც შეიძლება მინიჭებული იქნეს მონაწილე მხარის კანონით, ისინი აგრეთვე არანაირ გავლენას არ ახდენენ მხატვრული და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებებისათვის საერთაშორისო საავტორო უფლებების შესახებ ხელშეკრულებებითა და კონვენციებით მინიჭებულ დაცვაზე, ან დიზაინებისათვის ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სავაჭრო ასპექტების შეთანხმებით, რომელიც თან ერთვის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის დამფუძნებელ შეთანხმებას, მინიჭებულ დაცვაზე.<sup>87</sup>
  - (2) პარიზის კონვენციასთან შესაბამისობის ვალდებულება - თითოეულმა მონაწილე მხარემ უნდა დააკმაყოფილოს პარიზის კონვენციის ის დებულებები, რომლებიც ეხება დიზაინებს.

**ლოკარნოს შეთანხმება დიზაინების**

<sup>86</sup> <http://www.sakpatenti.gov.ge/ka>

<sup>87</sup> <https://matsne.gov.ge/>

საერთაშორისო კლასიფიკაციის დაწესების შესახებ (1968)<sup>88</sup>. ლოკარნოს შეთანხმება აწესებს კლასიფიკაციას დიზაინებისათვის (ლოკარნოს კლასიფიკაცია). შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოების უფლებამოსილმა უწყებებმა ოფიციალურ დოკუმენტებში, რომლებიც დიზაინების წარდგენას ან რეგისტრაციას ეხება, უნდა მიუთითონ კლასიფიკაციის კლასი და ქვეკლასი იმ საქონლის შესაბამისად, რომელშიც ჩართულია დიზაინი. ეს ნორმა ეხება აგრეთვე უწყებების გამოცემებს დიზაინების წარდგენასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებით.<sup>89</sup> კლასიფიკაცია შედგება 32 კლასისა და 223 ქვეკლასისაგან. ის შეიცავს აგრეთვე ნაწარმის ანბანურ სიას იმ კლასებისა და ქვეკლასების მითითებით, რომლებსაც მოცემული ნაწარმი განეკუთვნება. სია შეიცავს ნაწარმზე 7000-მდე მითითებას. ექსპერტთა კომიტეტი, რომელიც შეთანხმებითაა დაფუძნებული და რომელშიც მისი მონაწილე ყველა სახელმწიფოა წარმოდგენილი, უფლებამოსილია პერიოდულად გადასინჯოს კლასიფიკაცია. ამჟამად მოქმედებს კლასიფიკაციის მეთერთმეტე რედაქცია, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან.

კლასიფიკაციას იყენებს ლოკარნოს შეთანხმების 52 მხარე სახელმწიფო. მას, აგრეთვე, იყენებს ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის (WIPO) საერთაშორისო ბიურო დიზაინების საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმების შესაბამისად ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების ორგანიზაცია (OAPI), აფრიკის ინტელექტუალური საკუთრების რეგონალური ორგანიზაცია (ARIPO), ინტელექტუალური საკუთრების ბენელუქსის ორგანიზაცია (BOIP) და ევროკავშირის ინტელექტუალური საკუთრების უწყება (OAIP).

ლოკარნოს შეთანხმება დაიდო 1968 წელს და შესწორდა 1979 წელს. ლოკარნოს შეთანხმებით შეიქმნა კავშირი, რომელსაც აქვს ასამბლეა. კავშირის ყოველი წევრი სახელმწიფო ამავე დროს ასამბლეის წევრიცაა. ასამბლეის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა

<sup>88</sup> <http://www.sakpatenti.gov.ge/ka>

<sup>89</sup> <https://matsne.gov.ge/>

კავშირის ორწლიანი პროგრამისა და ბიუჯეტის დამტკიცება. ლიკარნოს

შეთანხმება ღია სამრეწველო საკუთრების დაცვის პარიზის კონვენციის (1883წ.) მხარე სახელმწიფოებისათვის. რატიფიკაციის ან მიერთების შესახებ დოკუმენტები დეპონირებული უნდა იქნეს ისმოს გენერალური დირექტორის სახელზე.

### შეთანხმება

**ინტელექტუალური საკუთრების უფლებების ვაჭრობასთან დაკავშირებული ასპექტების შესახებ (TRIPS)(1994)<sup>90</sup>.**

1. წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან უზრუნველყონ დამოუკიდებლად შექმნილი სამრეწველო ნიმუშების დაცვა, რომლებიც ახალი ან ორიგინალურია. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაანესონ, რომ სამრეწველო ნიმუშები არ არის ახალი ან ორიგინალური, თუ ისინი მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ცნობილი სამრეწველო ნიმუშებისაგან ან ცნობილი ნიმუშთა ნიმუშების კომბინაციებისაგან. წევრმა სახელმწიფოებმა შეიძლება დაანესონ, რომ ასეთი დაცვა არ გავრცელდება იმ სამრეწველო ნიმუშებზე, რომლებიც არსებითად ნაკარნახევია ტექნიკური ან ფუნქციური მოსაზრებებით.

2. ყოველმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ მოთხოვნები საფეიქრო ნაწარმის სამრეწველო ნიმუშების დაცვის მოპოვებისათვის, კერძოდ, ფასთან, ექსპერტიზასთან ან გამოქვეყნებასთან დაკავშირებით დაუსაბუთებლად, არ შეამცირებს ასეთი დაცვის მოთხოვნისა და მოპოვების შესაძლებლობას. წევრი სახელმწიფოები თავისუფალნი არიან აირჩიონ ამ ვალდებულების შესრულების მიმართულება – სამრეწველო ნიმუშების შესახებ კანონმდებლობა, თუ საავტორო სამართალი.<sup>91</sup>

დაცული სამრეწველო ნიმუშის მფლობელს უნდა ჰქონდეს უფლება აუკრძალოს მესამე პირებს, რომლებსაც არა აქვთ მფლობელის თანხმობა, წარმოება, გაყიდვა ან იმპორტირება, ისეთი ნაკეთობებისა, რომლებზეც

<sup>90</sup> <https://matsne.gov.ge/>

<sup>91</sup> მუხლი 25; <https://matsne.gov.ge/>

დატანილია ან რომბლებშიც ხორცშეახმულია სამრეწველო ნიმუში, რომელიც სრულად ან ძირითადად წარმოადგენს დაცული სამრეწველო ნიმუშის ასლს, თუ ასეთი ქმედებები განხორციელებულია კომერციული მიზნებისათვის. 2. წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ გაითვალისწინონ სამრეწველო ნიმუშის დაცვის შეზღუდული გამოჩვენებისები, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი გამოჩვენებისები დაუსაბუთებლად დააბრკოლებს დაცული სამრეწველო ნიმუშების ჩვეულებრივ გამოყენებას და არ შეზღუდავს დაცული სამრეწველო ნიმუშის მფლობელის კანონიერ ინტერესებს, მესამე პირთა ინტერესების გათვალისწინებით. 3. დაცვის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს სულ მცირე 10 წელს.<sup>92</sup>

## 2.5 დიზაინის დაცვის სამართლებრივი რეგულირება საზღვარეთის ქვეყნებში

ინგლისში მოქმედებს დიზაინების დაცვის „ნაწილობრივი ჯამური“ (კულმულაციური) პრინციპი, ანუ, ძირითადად გამოიყენება დიზაინების შესახებ აქტის ნორმები, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში, მათთან ერთდ, საავტორო სამართლებრივი (ასლებზე უფლების აქტის) ნორმები.<sup>93</sup> საფრანგეთში

დიზაინის სამართლებრივი დაცვა განვითარდა რევოლუციური ასამბლეს მიერ 1793 წელს შემოღებული საავტორო სამართლებრივი კანონიდან, რომელიც ეხებოდა ინტელექტუალურ ქმნილებებს, მათ შორისო, დაცვის საგანი იყო გრაფიურა და ნატიფი ხელოვნების ნაწარმოებები. მართლია, დიზაინი პირდაპირ არ ექვემდებარება დაცვას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რადგან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით ამ კანონის მოქმედება გავრცელდა ისეთ საგანზე, როგორცაა, შპალერი. მეცნიერთა ერთი ჯგუფის აზრით, სწორედ მისი ამოქმედებიდან უნდა აითვალოს საფრანგეთში ნაწარმის გარეგნული სახის დაცვის ისტორია. ამ აზრს ცნობილი ფრანგი სამართალმცოდნე პულიე

<sup>92</sup> <http://www.sakpatenti.gov.ge/ka>

<sup>93</sup> დ. ქამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ., 2011, გვ. 10

(Pouillet) იზიარებდა და დასაბუთების მიზნით „ხელოვნების ერთიანობის“ თეორია მოჰყავდა.<sup>94</sup>

საფრანგეთში მრეწველები ღიდად მაინც ვერ გრძნობდნენ თავს მყარად და შესაბამისად მოითხოვდნენ სამრეწველო იერსახისთვის მტკიცე და კონკრეტული სამართლებრივი აქტის შემოღებას. ლიონელი მეაბრეშუმეების განსაკუთრებული მსდელიობით გამოირჩეოდნენ, რომლებსაც არ აკმაყოფილებდათ გარკვეული საამქროების გაერთიანებების მიერ შემოღებული მოძველებული წესრიგი.<sup>95</sup>

1806 წელს საფრანგეთში ამოქმედდა მთელ ევროპაში რიგით მეორე ახალი საავტორო სამართლებრივი კანონი და იგი მოიცავდა ღიზანის დაცვას, მაგრამ ინგლისის მსგავსად დაცვა საფეიქრო ნაწარმით შემოიფარგლა. რაც შეეხება, ხელოვნების ერთიანობის კონცეფციაზე დაყრდნობით, საფრანგეთში 1957 წელს ამოქმედდა ღიზანის დაცვის განსაკუთრებული წესრიგის (Sui generis) შემომტანი ახალი კანონი საავტორო უფლებების შესახებ, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა თანამედროვე მოთხოვნებს და ინარჩუნებდა უფლებათა დაცვის ჯამურ შესაძლებლობას, რისი მომხრეც თავიდანვე იყო საფრანგეთი. ამ შესაძლებლობების თანახმად ღიზანების დაცვისას ერთდროულად ნებისმიერი კანონის ნორმებით სარგებლობაა დასაშვები. კერძოდ, საავტორო უფლებათა შესახებ, ღიზანების დაცვის შესახებ და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ კანონების ნორმებით. უფლებათა დაცვის ჯამური შესაძლებლობა გავრცელებულია სხვა ქვეყნებშიც.<sup>96</sup>

#### გერმანიის

ღიზანის დაცვა უკავშირდება საქსონიის 1721 წლის კოდექსს (ავგუსტუსის კოდექსი), რომელიც ნაწარმის (მაგ. თეთრეულის), გარეგნობის შესამკობად ვარგისი მოსართავეების უნებართვო გამოყენების ამკრძალავ ნორმას შეიცავს. სამეწარმეო ურთიერთობების

<sup>94</sup> დ. ძამუკაშვილი, ღიზანის სამართალი, თბ., გვ. 10

<sup>95</sup> კ. თუმანიშვილი, ე. მეტრეველი, „ევროკავშირის დირექტივა სამრეწველო ნიმუშების, სამართლებრივი დაცვის შესახებ“, უ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბილისი, 2007, №1, გვ. 37

<sup>96</sup> დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია. თბ., 2012, გვ., 1

სწრაფი განვითარების მიუხედავად, გერმანიაში დიზაინის დაცვა მხოლოდ 1876 წელს მიღებული კანონით დაიწყო, რომელიც დღევანდელი კანონმდებლობის საყრდენს წარმოადგენს. 1876 წელს ძალაში შევიდა კანონი საავტორო უფლებების შესახებ, რომელმაც გამიჯნა გამოყენებითი ხელოვნებისა და ნატიფი ხელოვნების ნაწარმოებები. საავტორო უფლებების მოქმედების არედან გამოირიცხა გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებები, რომელთაც ეკუთვნის დიზაინი. უნდა ითქვას, რომ გერმანიაში უარყო უფლებათა დაცვის ჯამური პრინციპი, იმის გათვალისწინებით, რომ გერმანიის დიზაინების შესახებ კანონი ფრანგული კანონმდებლობის გავლენით იქნა შემუშავებული.<sup>97</sup>

1907 წელს გერმანიაში ამოქმედდა ახალი კანონი საავტორო უფლებების შესახებ, რომლის გათვალისწინებითაც დაცვის საგნის გამიჯვნას უარყოფილ იქნა და მთავარი კი ნაწარმოებებისადმი წაყენებული მოთხოვნების დაკმაყოფილება გახლდათ. ამ კანონით სხვასთან ერთად დაცული იყო, აგრეთვე, მორთვის ხელოვნებას მიკუთვნებული ნაწარმოებებიც.<sup>98</sup>

1911 წლის გადაწყვეტილებით გერმანიის უზენაესმა სასამართლომ ჯამური დაცვის შესაძლებლობას თავისებური განმარტება მისცა. კერძოდ, დადგინდა, რომ დიზაინად გამოსაყენებელი ნაწარმოებების გამიჯვნა, ნატიფი ან გამოყენებითი ხელოვნებისადმი მიკუთვნების გამიჯვნის მიზნით, დამოკიდებულია მათი დაშორების ხარისხზე წმინდა ხელოვნებას მიკუთვნებული ნაწარმოებისაგან, რომელსაც, ბუნებრივია, საყოფაცხოვრებო ან სამრეწველო გამოყენების დატვირთვა არ უნდა ჰქონდეს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შედეგად, თუ გამოირკვეოდა, რომ ასეთი ნაწარმოები გამოყენებით ხელოვნებას ეკუთვნოდა, რომლის დადგენაც საკმაოდ რთულ საქმეს წარმოადგენდა, მაშნ მასზე გავრცელდებოდა საავტორო სამართლებრივი ნორმები. შეიძლება ითქვას,

---

<sup>97</sup> Design Law in Europe by Uma Sutherasanen, Sweet&Maxwell, 2000. 21

<sup>98</sup> დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ., 2011, გვ. 13

რომ გერმანიაში ჯამური დაცვის ნაწილობრივ შესაძლებლობა დამკვიდრდა.<sup>99</sup>

1986 წელს მნიშვნელოვნად გადამუშავდა და ძალაში შევიდა ახალ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც დიზაინის დაცვის შესახებ 1876 წლის კანონ წარმოადგენდა. შედეგად, მან ახალმა კანონმა არ უარყო მანამდე შემოღებული დაცვის სარეგისტრაციო წესი. უფლებათა მფლობელი ალიჭურვა ასლის კეთების საწინააღმდეგო უფლებით. იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის დიზაინი იყო - ორგანზომილებიანი თუ მოცულობითი, უფლებათა დასაცავად შეიძლებოდა სასარგებლო მოდელების შესახებ და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის შესახებ საკანონმდებლო ნორმების გამოყენება.<sup>100</sup>

დიზაინის დაცვის სამართლებრივი რეგულირების საკითხი განხილვისათვის, თავდაპირველად, ბენელუქსის ქვეყნების სამართალზე და მის ისტორიულ მიმოხილვაზე შევაჩერებთ ყურადღებას, ვინაიდან ამ ქვეყნების ერთიანი კანონი დიზაინების თანამედროვე კანონმდებლობის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარმოადგენს.<sup>101</sup>

ამრიგად, ბელგიაში დიზაინების დაცვა დაწესდა ამ ქვეყნის პირობებისათვის მორგებული 1806 წლის ფრანგული კანონის საფუძველზე, რომელიც გავრცელდა ნებისმიერ რეგისტრირებულ გარეგან სახეზე. იმ პერიოდისათვის რეგისტრაცია გამოიყენებოდა მტკიცებულების გასაადვილებლად და არ უქმნიდა დიზაინს განსაკუთრებულ მდგომარეობას. აგრეთვე, დიზაინები დაცული იყო 1886 წლის საავტორო უფლებათა შესახებ კანონმდებლობით, რომელიც მხოლოდ სასამართლო წესით

---

<sup>99</sup> კ. თუმანიშვილი, ე. მეტრეველი, „ევროკავშირის დირექტივა სამრეწველო ნიმუშების, სამართლებრივი დაცვის შესახებ“, შ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბ., 2007, №1. 38-39

<sup>100</sup> გაერთიანების შესახებ 1990 წლის 31 აგვისტოს ხელშეკრულების თანახმად, გერმანიის ფედერალური და დემოკრატიული რესპუბლიკების გაერთიანდნენ და ერთ სახელმწიფოდ გადაიქცა, რაც 1990 წლის 3 ოქტომბერს მოხდა. სამრეწველო საკუთრების უფლებების გავრცელების შესახებ კანონით ორივე ქვეყანაში მოქმედი უფლებების მოქმედება ძალაში დარჩა, მიუხედავად იმის გათვალისწინებისა, რომ ორივე რესპუბლიკაში განსხვავებული ინტელექტუალურ-სამართლებრივი წესი იქნებოდა.

<sup>101</sup> დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ., 2011, გვ. 17

დადგინდა, რომ მის ფარგლებში ხვდებოდა ისეთი გარეგნობანი, რომლებიც ყოველგვარი დამატებითი პირობების გათვალისწინების გარეშე თავისთავად აკმაყოფილებდა ხელოვნებისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნებს. შედეგად, ამგვარი დიზაინებისათვის გამოიყენებოდა ჯამური დაცვა. ამგვარი მიდგომა დადასტურდა 1935 წლის საავტორო უფლებათა შესახებ კანონის შესაბამისად, რომლის წესებიც ამჟამადაც ძალაშია.<sup>102</sup> რაც

შეეხება ლუქსემბურგს, დიზაინები დაცვას დაექვემდებარა მხოლოდ საავტორო უფლებათა შესახებ კანონის ფარგლებში, რა 1898 წელს მოხდა ამ კანონის ამოქმედებისთანავე. ამ კანონის ქვემდებარე სხვა სახის ინტელექტუალური ქმნილების მსგავსად დიზაინისაგან მოითხოვებოდა ხელოვნების ნაწარმოებისადმი დაწესებული პირობების დაკმაყოფილება. ეს წესრიგი კი 1972 წლის კანონის ამოქმედების შემდეგაც ძალაში დარჩა.<sup>103</sup>

ნიდერლანდებში (ჰოლანდია) ლუქსემბურგის მსგავსად დიზაინების დასაცავად სპეციალური კანონი არ შემოუღიათ და ის დაცული იყო მხოლოდ ხელოვნების ნაწარმოებისათვის განკუთვნილი სამართლებრივი წესრიგით საავტორო უფლების შესახებ კანონმდებლობიდან გამომდინარე. 1912 წლის საავტორო უფლებების შესახებ კანონი დიზაინის დაცვის ბენელუქსის ერთიანი კანონმდებლობის შემოღებამდე მოქმედებდა, რომელიც ცვლილებებითა და დამატებებით კვლავ ინარჩუნებს ძალას.<sup>104</sup>

1975 წელს ამოქმედებულმა ბენელუქსის ერთიანმა კანონმდებლობამ, დიზაინის დაცვის საერთო სამართლებრივი და სპეციალური წესრიგი შემოიტანა ბელგიისა, ლუქსემბურგისა და ნიდერლანდებისათვის. მაგრამ, საავტორო სამართლებრივი მოთხოვნების დამაკმაყოფილებელი გარეგნობის დაცვა კვლავაც შესაძლებელია

---

<sup>102</sup> Design Law in Europe by Uma Sutherland, Sweet&Maxwell, 2000. 41

<sup>103</sup> ვ. თუმანიშვილი, ე. მეტრეველი, „ევროკავშირის დირექტივა სამრეწველო ნიმუშების, სამართლებრივი დაცვის შესახებ“, უ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბ., 2007, №1, გვ. 37-38

<sup>104</sup> იგივე. გვ. 39



საავტორო უფლებების შესახებ ეროვნული კანონმდებლობით. შედეგად, დაცვის ჯამური შესაძლებლობა სრულად გამოიყენება ბენელუქსის წვეყნების ეროვნულ დონეზე<sup>105</sup>.

აგრეთვე, მნიშვნელოვანია, სკანდინავიური ქვეყნების დიზაინის დაცვის სამართლებრივი ანალიზი, რომელიც დანია, ნორვეგია, ფინეთი და შვედეთით განისაზღვრება, სადაც დიზაინის დაცვა ბენელუქსის ქვეყნების ანალოგიურად მიმდინარეობს. 1970 წლიდან ძალა შეიძინა ერთგვაროვანმა კანონმდებლობამ წარმოდგენილი ქვეყნებში. იმდენად, რამდენადაც საკანონმდებლო სხვა დათქმა არ არსებობდა, სკანდინავიურ ქვეყნებშიც შესაძლებელი გახდა ჯამური დაცვის განხორციელება - შესაბამის შემთხვევებში უფლების მფლობელს საავტორო სამართლებრივი და დიზაინის სპეციალური საკანონმდებლო ნორმების გამოყენება არ ეკრძალება.<sup>106</sup>

აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ სკანდინავიური ქვეყნების ერთგვაროვანი სამართლებრივი რეჟიმი ბენელუქსისაგან განსხვავდება და ამ ქვეყნებში მოქმედებს ერთგვაროვან საფუძვლებზე დამყარებული ეროვნული კანონები და არა ერთი კანონი. მაგალითისთვის, დანიასა და ნორვეგიაში „დიზაინის შესახებ კანონი“; ფინეთში „რეგისტრირებული დიზაინების შესახებ კანონი“; შვედეთში „დიზაინის დაცვის შესახებ აქტი“.<sup>107</sup>

ევროპის სხვა ქვეყნებშიც ისტორიული განვითარება ანალოგიურია განხილულისა, თუმცა თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე ათანამედროვე არსის მქონე ნორმების შემოღებაზე მაინც გამოვყოფთ ავსტრიის, ესპანეთისა და შვეიცარიის კანონმდებლობას.<sup>108</sup>

ავსტრიაში

<sup>105</sup> დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ, 2011, გვ. 13

<sup>106</sup> დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბ.. გვ. 14

<sup>107</sup> კ. თუმანიშვილი, ე. მეტრეველი, „ევროკავშირის დირექტივა სამრეწველო ნიმუშების, სამართლებრივი დაცვის შესახებ“, უ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბილისი, 2007, №1, გვ. 39

<sup>108</sup> Community Design Law, Principles and Practice by David Musker, Sweet&Maxwell, 2002, 44

დიზაინის დასაცავად 1848 წლის საავტორო სამართლებრივი აქტის ნორმების გამოყენება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგან საავტორო სამართალი დაცვის არიდან გამორიცხავდა სამრეწველო წესითგამოშვებული ნაწარმისათვის გამოსაყენებელ ქმნილებას. ამდენად, გარდაუვალი იყო დიზაინის დასაცავად გამიზნული დამოუკიდებელი კანონმდებლობის ამოქმედება, რომელიც 1858 წელს სამრეწველო დიზაინის შესახებ აქტის მიღებისთ გახორციელდა. 1895 წლისათვის ახალი საავტორო კანონმდებლობა ამოქმედდა, რომელმაც დაცვის საგნად აღარ შემოსაზღვრა მხოლოდ ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც თავად ავტორის ნებით გამოიყენებოდა სამრეწველო წესით დამზადებული ნაწარმისათვის და იზღუდებოდა არჩეული ნაწარმის სახეობით. ეს მიდგომა კიდევ ერთხელ შეიცვალა 1920 წელს და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოები და დიზაინი საავტორო სამართლის ანალოგიური რეჟიმის დაექვემდებარებაში მოხვდა.<sup>109</sup> დღესდღეისობით

ავსტრიაში შეიძლება დიზაინის ჯამური დაცვის განხორციელება, რისთვისაც ნებადართულია საავტორო სამართლის, ცალკე მდგომი დიზაინის შესახებ კანონის და სასარგებლო მოდელების შესახებ კანონის ნორმების გამოყენება, როდესაც დიზაინს ნაწარმის მოცულობითი მოყვანილობა წარმოადგენს.<sup>110</sup> მნიშვნელოვანია, იმის ცოდნა, რომ ესპანეთში დიზაინის დაცვა შესაძლებელი გახდა 1847 წლის საავტორო უფლებების შესახებ კანონით, რომელიც საფრანგეთის საავტორო სამართლის დიდი გავლენით იყო განმსჭვალული. ამ კანონის თანახმად დაცვას არ ექვემდებარებოდა ყველანაირი ნაწარმის გარეგნობა, კერძოდ, მისი ნორმები არ ვრცელდებოდა საფეიქრო ნაწარმზე, ავეჯზე და მათ მსგავსზე, რადგან ისინი სამრეწველო საკუთრების სამართლის სფეროს ეკუთვნოდა.<sup>111</sup> 1884 და 1888 წლების მეფის

ბრძანებულებებით ესპანეთში დიზაინების დაცვის დამოუკიდებელი რეჟიმები

---

<sup>109</sup> Design Law in Europe by Uma Sutherasanen, Sweet&Maxwell, 2000. 45

<sup>110</sup> დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 19

<sup>111</sup> Design Law in Europe by Uma Sutherasanen, Sweet&Maxwell, 2000, 46

დამკვიდრდა, რომელტა პირობები ჩაირთო 1902 წლის სამრეწველო საკუთრების შესახებ კანონში. ამ სამართლებრივი აქტების მეშვეობით დაცვას დაექვემდებარა ნებისმიერი ახალი სამრეწველო დანიშნულების დიზაინი. 1975 წლის სამრეწველო საკუთრების კოდექსში მათში ჩადებული არსობრივი პირობები გადმოვიდა და ამ კოდექსის მიხედვით სრულიად დასაშვები გახდა დიზაინის მფლობელს ესარგებლა ჯამური დაცვით და გამოეყენებინა თავად დიზაინის დაცვის შესახებ ან სასარგებლო მოდელების შესახებ კანონის ნორმები. აგრეთვე, შესაძლებელი იყო საავტორო სამართლის გამოყენებაც. კოდექსის მიხედვით სრულიად დასაშვები გახდა დიზაინის მფლობელს ესარგებლა ჯამური დაცვით და გამოეყენებინა თავად დიზაინის დაცვის შესახებ ან სასარგებლო მოდელების შესახებ კანონის ნორმები. ასევე, შესაძლებელი იყო საავტორო სამართლის გამოყენებაც. კოდექსის მიხედვით, რომელიც ამჟამადაც მოქმედებს, დაცვას ექვემდებარება ნაწარმის როგორც მოცულობითი მოყვანილობა - ფორმა (modelos industriales), ასევე ბრტყელი, ორგანომილებიანი გარეგნობა (dibujis industriales).<sup>112</sup>

შვეიცარიაში დიზაინის დაცვა

ისტორიულად საავტორო სამართლის მსგავს ნორმებს უკავშირდება, რომელიც დაქვემდებარებული იყო ბაზელელი მბეჭდავების XV საუკუნის პრივილეგიებით განსაზღვრულ პირობებს. შემდგომ ამისა, დიზაინის დასაცავად შეიძლება გამოეყენებულყო 1883 წელს მიღებული საავტორო უფლებების შესახებ კანონი, თუ დიზაინი გამოეყენებითი ნაწარმოების მიმართ წაყენებულ საავტორო სამართლებრივ მოთხოვნებს დააკმაყოფილებდა. 1922 წელს შეიცვალა და 1992 წელს გადამუშავდა საავტორო უფლებების შესახებ კანონი.<sup>113</sup>

შვეიცარიაში

დიზაინის დაცვის შესახებ სპეციალური კანონი 1900 წელს ამოქმედდა, რომელიც 1994 წელს შეიცვალა და საბოლოოდ 200 წლის გადამუსავებული სახით ამოქმედდა და

<sup>112</sup> Design Law in Europe by Uma Sutherland, Sweet&Maxwell, 2000. 46

<sup>113</sup> თუმანიშვილი კ., მეტრეველი ე., „ევროკავშირის დირექტივა სამრეწველო ნიმუშების, სამართლებრივი დაცვის შესახებ“, ჟ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბილისი, 2007, №1. გვ. 40

დრემდე მოქმედებს. დაცვისადმი მიდგომა არ გამოირჩევა მნიშვნელოვანი განსხვავებებით და აგებულია აქამდე განხილული ჩვენს მიერ განხილული ქვეყნების სამართლებრივი ნორმების მიმართულების მიხედვით.<sup>114</sup> ჩვენს მიერ ჩამოყალიბებულია რიგი საზღვარგარეთის ქვეყნები, რომლებიც დიზაინის დაცვას არეგულირებენ სპეციალური საკანონმდებლო ნორმებით.

### თავი III. კვლევის შედეგები

#### დიზაინის დაცვის უფლების ფარგლები

მნიშვნელოვანია, დიზაინის დაცვის ფარგლების განსაზღვრა. კერძოდ, იგი განსაზღვრავს მის გამოსახულებას და მოიცავს ყველა დიზაინს, რომლებიც ინფორმირებულ მომხმარებელზე არ ახდენს განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას. დაცვის ფარგლების განსაზღვისას ასევე გასათვალისწინებელია დიზაინერის თავისუფლების ხარისხი მისი შექმნისას. ამასთან დიზაინის სამართლებრივი დაცვა არ ვრცელდება მასში ჩართულ სიტყვაზე თუ სიტყვათა წყობაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებული დიზაინის უფლებები მოქმედებს მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე. ხოლო, უცხო ქვეყანაში განსაკუთრებული უფლებების მოპოვების მიზნით საქართველოს მოქალაქეს შეუძლია დიზაინზე განაცხადი შეიტანოს უშუალოდ იმ კონკრეტული ქვეყნის სამართლებრივ უწყებაში, ან წარადგინოს საერთაშორისო განაცხადი დიზაინების

<sup>114</sup> დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბილისი, 2011, გვ. 15

საერთაშორისო რეგისტრაციის შესახებ ჰააგის შეთანხმების საფუძველზე, და მიუთითოს ის მონაწილე მხარეები, სადაც სურს უფლებების გავრცელება, ამასთან, თუ განმცხადებელი განაცხადის შეტანიდან 6 თვის გავმავლობაში წარადგენს იმავე დიზაინს დასარეგისტრირებლად სხვა ქვეყანაში, ან საერთაშორისო ბიუროში, მას შეუძლია ისარგებლოს პრიორიტეტით საქპატენტში განაცხადის შეტანის თარიღიდან. „დიზაინის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, დიზაინი, რომელიც არ არის რეგისტრირებული საქპატენტში ან რომელზედაც არ ვრცელდება საერთაშორისო რეგისტრაცია, დაცულია "საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

დასმული საკითხის პრობლემის კვლევა/ანალიზიდან გამომდინარე კვლევის შედეგები შეიძლება წარმოვადგინოთ, გამოიკვეთა რიგი საკითხები, რომლის მოგვარება და მოწესრიგებაა საჭირო სამართლებრივი კუთხით.

კერძოდ:

- კვლევისას გამოიკვეთა, რომ დაბალია სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული აქტიურობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე უცხოეთში;

- ქვეყანაში საჭიროებას წარმოადგენს გამოგონებების შექმნის, დაცვისა და გამოყენების სისტემური მექანიზმის არსებობა. ვინაიდან, უნივერსიტეტები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები არ იჩენენ ინტერესს ინოვაციური საქმიანობისადმი;

- ასევე, სამეცნიერო

ცენტრებთან არ ფუნქციონირებს საპატენტო-სალიცენზიო სამსახურები, გამოყენებითი ხასიათის კვლევითი სამუშაოები ტარდება წინასწარი საპატენტო-საინფორმაციო ძიების გარეშე, რაც, ჩემი აზრით, უარყოფით გავლენას ახდენს ჩატარებული კვლევების ხარისხსა და მათი შედეგების გამოყენების რეალურ შესაძლებლობებზე.

რაც შეეხება, საგამომგონებლო

საქმიანობის განვითარებისა და მისი შედეგების პრაქტიკული რეალიზების ხელშესაწყობას, უპირველესად საჭიროა: - ქვეყანაში

საინოვაციო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ევროპულ და სხვა მონინავე ქვეყნების გამოცდილებაზე იქნება დაფუძნებული; ვფიქრობთ, მსხვილ სამეცნიერო ცენტრებთან უნდა შეიქმნას სპეციალური საპატენტო-საინფორმაციო სტრუქტურები, რომლებიც მეცნიერებსა და ინჟინრებს გაუნევენ კონსულტაციებს სამრეწველო საკუთრების დაცვის საკითხებზე, დაეხმარებიან გამოგონების გამოვლენასა და განაცხადების გაფორმებაში; აგრეთვე, საპატენტო-საინფორმაციო ძიების ჩატარებაში, როგორც სამუშაოთა დაგეგმვის, ისე განხორციელების პროცესში. - უცხოეთის წამყვანი უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების გამოცდილების გათვალისწინებით, საინოვაციო საქმიანობის განვითარებასთან ერთად, მომავალში აღნიშნული სტრუქტურების ბაზაზე, შეიძლება შეიქმნას თანამედროვე ტიპის ტექნოლოგიების გადაცემის ბიუროები, რომელთა ძირითადი ამოცანა იქნება გამოგონების კომერციალიზაცია, ბიზნეს პარტნიორების მოძებნა, ბიზნეს პროგრამების შედგენა, სალიცენზიო ხელშეკრულებების გაფორმება, საჭიროების შემთხვევაში ვენჩურული კაპიტალის მოზიდვა და სხვა.

გამოყენებითი ხასიათის სამეცნიერო კვლევების თემატიკის შერჩევასა აუცილებელია დაინერგოს წინასწარი საპატენტო-საინფორმაციო ძიების ჩატარების პრაქტიკა, რათა არ მოხდეს სამუშაოთა დუბლირება, განისაზღვროს მოსალოდნელი შედეგების პერსპექტიულობა და კონკურენტუნარიანობა.

ქვეყანაში, სამრეწველო საკუთრების დაცვის კულტურის ამაღლების მიზნით, სასურველია, გაფართოვდეს სამიზნე ჯგუფებზე: მეცნიერები, ბიზნესმენები, სამართალდამცავები და სხვა, ორიენტირებული სემინარებისა და ტრენინგების ჩატარების პრაქტიკა.

## დასკვნა

თანამედროვე მსოფლიოში, ზოგადად, სამრეწველო საკუთრების დაცვა წარმოადგენს ეროვნული, რეგიონალური და საერთაშორისო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომელიც აღიარებულია ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციური პროცესების წარმართვის უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტად. უკანასკნელ ათწლეულებში ძალიან დიდი სისწრაფით გაიზარდა სამრეწველო საკუთრების დაცვასთან დაკავშირებული აქტიურობა, რომელთა შორის ერთ-ერთ ობიექტს დიზაინი წამოადგენს, და სამრეწველო საკუთრების ობიექტები ეკონომიკური სუბიექტების ყველაზე ღირებულ აქტივებად იქცნენ. აქედან გამომდინარე, რადიკალურად შეიცვალა სამეცნიერო დანსებულების ჩართულობა საინოვაციო პროცესებში. სწორედ, წამყვანი

უნივერსიტეტები გახდნენ მსხვილი საპატენტო პორტფელების მფლობელები და ახალი მაღალტექნოლოგიური დარგების შექმნის მაინიცირებელი ცენტრები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სამრეწველო საკუთრების დაცვის ობიექტი - დიზაინი ევროკავშირი-საქართველოს თანამშრომლობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამჟამად ეს ურთიერთთანამშრომლობა ხორციელდება ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის ეგიდით მიღებული ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

დღესდრეისობით, ჩვენს ქვეყანაში არსებობს სამრეწველო საკუთრებაზე უფლებების მოპოვებისა და განხორციელების ყველა ძირითადი ინსტიტუტი. აგრეთვე, მოქმედებს საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული საკანონმდებლო ბაზა და საქართველო მიერთებულია ყველა ბაზისურ საერთაშორისო შეთანხმებასა და კონვენციას. ევროკავშირი-საქართველოს სამოქმედო გეგმაში დასახული ამოცანების შესაბამისად, რაც დადასტურდა ჩვენი კვლევითაც, ამ ეტაპზე ძირითად გამოწვევას სამრეწველო საკუთრების დაცვის კანონმდებლობის აღსრულება, ამ სფეროში საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება, საპატენტო ინფორმაციის გამოყენება, დიზაინის დაცვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება და უფლებების განხორციელებაზე მიმართული რესურსების ზრდა წარმოადგენს.

საბოლოოდ, მოკლედ და ლაკონურად შევეცდებით ჩამოვაყალიბოთ, კვლევის ანალიზიდან გამომდინარე, დიზაინის სამართლებრივი არსი, მნიშვნელობა უფლებები და მნიშვნელობა.

თავდაპირველად ავლნიშნოთ, რომ ევროკავშირში არსებობს გარკვეული ტიპის ინტელექტუალური საკუთრება, რომელთა შორისაა დიზაინი, რომელიც პროდუქტის გარეგანს სახე წარმოადგენს.

ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხი საერთაშორისო დონეზე დიდ მნიშვნელობას ატარებს და მათ შორის არც საქართველოა გამონაკლისი. შედეგად, ამჟამად მიმდინარე ევროკავშირთან დაახლოების პროცესი უფრო მეტ ვალდებულებას



აკისრებს საქართველოს, რომ ეროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა შესაბამისობაში მოიყვანოს საერთაშორისო სტანდარტებთან.

აგრეთვე, უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერით არაერთი ვალდებულება იკისრა, რამაც გამოიწვია ინტელექტუალური საკუთრების უფლებების სფეროს დახვეწა და განვითარება, როგორც საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნის, აგრეთვე, კანონის პრაქტიკაში ეფექტური აღსრულების მექანიზმების ჩამოყალიბების თვალსაზრისით.

კვლევის საგანს წარმოადგენდა სამრეწველო საკუთრების უფლებათა სფეროს ანალიზი, როგორც საერთაშორისო კონტექსტში, რაც მოიცავს სახელმწიფოთაშორის გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ევროკავშირის ქვეყნებში არსებული პრაქტიკის ანალიზს. აგრეთვე, საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს, განხორციელებულ რეფორმებსა და შესაბამისად, ამ ცვლილებების შედეგად მოქალაქეთა მიერ, ახლად შექმნილი უფლებების არსსა და მათი გამოყენების მდგომარეობას.

საქართველომ ევროკავშირის პრინციპებთან, კანონმდებლობასთან და პრაქტიკასთან ჰარმონიზაციის პროცესს საფუძველი ჩაუყარა 2010 წელს, როდესაც დაიწყო ევროკავშირისა და საქართველოს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შესახებ მოლაპარაკებათა მოსამზადებელი ეტაპი.

საბოლოოდ, კვლევის შედეგებიდან, მივედით აზრამდე, რომ დიზაინად შეიძლება იყოს დაცული ნებისმიერი სამრეწველო ან ხელნაკეთი საგანი, მათ შორის საფუთავი, გაფორმება, ინტერიერი, გრაფიკული სიმბოლო, ტიპოგრაფიული შრიფტი და სხვა. დიზაინად არ იცვება კომპიუტერული პროგრამები, ცოცხალი ორგანიზმების, (მაგ. მცენარეები, ცხოველები) ლანდშაფტური დიზაინის (მაგ. პარკი, სკვერი) გარეგანი სახე, მუსიკა, ბგერები. ხოლო, იმისათვის, რომ, დიზაინი იყოს სამართლებრივად დაცული, უნდა აკმაყოფილებდეს ორ მარტივ კრიტერიუმს: უნდა იყოს ახალი და ჰქონდეს

ინდივიდუალობა. ასევე, როგორც კვლევის მომენტში აღინიშნა, დიზაინი ახალია იმ შემთხვევაში, თუ მისი სარეგისტრაციოდ წარდგენის თარიღამდე მისი იდენტური დიზაინი საჯაროდ ხელმისაწვდომი არ გახდა. დიზაინები იდენტურად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ კი ისინი ერთმანეთისგან განსხვავდება უმნიშვნელო დეტალებითაც. ხოლო, ინდივიდუალობა დიზაინს გააჩნია იმ შემთხვევაში, თუ ის ადრე ცნობილი დიზაინისგან განსხვავებულ საერთო შთაბეჭდილებას ახდენს მომხმარებელზე, რომელსაც გააჩნია გარკვეული ინტერესი და სპეციალური ცოდნა აღნიშნულ სფეროში, რომელსაც პროდუქტი მიეკუთვნება.

მნიშვნელოვანია,

გათვალისწინება იმისა, რომ ინდივიდუალობის დადგენის დროს დიზაინის შექმნისას დიზაინერის თავისუფლების ხარისხი. ვინაიდან, დიზაინერის შემოქმედებითი თავისუფლება შეიძლება შეზღუდული იყოს პროდუქტის ტექნიკური თუ ერგონომიკული მახასიათებლებით, რომლებიც მოითხოვს დიზაინის გარკვეული რაოდენობის ნიშნების სტანდარტულად ან ტექნიკური ფუნქციით განსაზღვრული სახით შესრულებას.

დიზაინის რეგისტრაცია მის მფლობელს ანიჭებს განსაკუთრებულ უფლებას, ნება დართოს ან აუკრძალოს სხვებს იმ პროდუქტის დამზადება, გაყიდვა, გასაყიდად შეთავაზება, გამოყენება, იმპორტი, ექსპორტი ან სამოქალაქო ბრუნვაში სხვაგვარი ჩართვა, რომელშიც ჩართულია დიზაინი ან რომლისთვისაც ის გამოიყენება. ხოლო, დიზაინის მფლობელი თავისი შეხედულებისამებრ განკარგავს მის მიერ შექმნილ დიზაინს და მას აქვს უფლება, გაყიდოს ან სხვა გზით გაასხვისოს დიზაინი, სამართლებრივად დადგენილი წესით გასცეს კერძო ლიცენზია დიზაინის გამოყენებაზე.

ვიმედოვნებს, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომი ერთ-ერთი იმათთაგანი იქნება, რომელიც დიზაინის და მისი სამართლებრივი საშუალებების უკეთ გაანალიზებაში დაეხმარებას გაუნვეთ არა მხოლოდ ქართველ დიზაინერებს საკუთარი უფლებების განხორციელებასა და მართვის საქმეში, არამედ ყველა დაინტერესებულ პირს

ინტელექტუალური საკუთრების ამ მეტად სპეციფიკური ობიექტის უკეთ გაცნობაში.

## გამოყენებული ლიტერატურა

### მონოგრაფიები

1. დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა, წიგნში „ევროგაერთიანების არმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამა და საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები“, ღია საზოგადოება - საქართველო, თბილისი, 2011
2. დ. გაბუნია, სამრეწველო საკუთრების დაცვა - მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, თბილისი, 2012;
3. კ. თუმანიშვილი, ე. მეტრეველი, „ევროკავშირის დირექტივა სამრეწველო ნიმუშების, სამართლებრივი დაცვის შესახებ“, უ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბილისი, 2007, №1
4. კ. თუმანიშვილი, ე. მეტრეველი, დ. ჯანიაშვილი, „სამრეწველო ნიმუშების საერთაშორისო რეგისტრაცია (ჟენევის აქტი)“, უ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბილისი, 2004, №1
5. ი. ტოლკმიტი, ინტელექტურული საკუთრების სამართალი, მოკლე კონსპექტები, თბილისი, 2011
6. დ. ძამუკაშვილი, დიზაინის სამართალი, თბილისი, 2011
7. დ. ძამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, თბილისი, 2006.
8. დ. ძამუკაშვილი, ინტელექტუალური უფლებები, თბილისი, 2006
9. დ. ძამუკაშვილი, საქართველოს საპატენტო კანონი, მუხლობრივი კომენტარი, თბილისი, 2003
10. დ. ძამუკაშვილი, საერთაშორისო ხელშეკრულებები და კონვენციები, თბილისი 2002
11. დ. ძამუკაშვილი, ინტელექტუალური საკუთრების სამართალი, ლექციათა კურსი თბილისი, 2001
12. დ. ძამუკაშვილი, სამრეწველო საკუთრება (გამოგონება, სასარგებლო მოდელი, სამრეწველო ნიმუში), თბილისი, 1997
13. დ. ძამუკაშვილი, „საქართველოს საპატენტო სისტემა“, უ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბილისი, 2003, №1

14. დ. ძამუკაშვილი, თუმანიშვილი ვ., მეტრეველი ე., „სამრეწველო ნიმუში, როგორც ინტელექტუალური საკუთრების ობიექტი“, შ. „ინტელექტუალური საკუთრება“, საქპატენტი, თბილისი, 2003, №2
15. ს. ჯორბენაძე, ინტელექტუალური საკუთრების განმარტებითი ლექსიკონი, თბილისი, 1988

### **უცხოენოვანი ლიტერატურა**

16. Intellectual Property in Designs by John Sykes, Reed Elsevier, (UK), 2005
17. WIPO Intellectual Property Handbook: Policy, Law and Use, WIPO Publication N 489 (E), 2004
18. New UK Registered Design Law, Intellectual Property Today by Alex Piesold, 2002
19. Intellectual Property in Europe, by Guy Tritton, Richard Devis, Michael Edenborough, James Graham, Simon Malinicz, Ashley Roughton, second edition, Sweet&Maxwell, 2002
20. Community Design Law, Principles and Practice by David Musker, Sweet&Maxwell, 2002
21. Design Law in Europe by Uma Sutherasanen, Sweet&Maxwell, 2000
22. Fundamentals of United States Intellectual Property Law: Copyright, Patent and Trademark by Sheldon W. Halpern, Graig Allen Nard, Kenneth L. Port, 1999
23. Intellectual Property: Patents, Copyrights, Trade Marks and Allied Righth by W. R. Cornish, trird edition, Sweet&Maxwell, 1996

### **საქართველოს და საერთაშორისო ნორმატიული აქტები**

1. საქართველოს დიზაინის შესახებ კანონი

2. საქართველოს საპატენტო კანონი
3. საქართველოს კანონი საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ
4. საქართველოს კანონი სასაქონლო ნიშნების შესახებ
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
6. საქართველოს კანონი საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ
7. საქართველოს კანონი საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ
8. საქართველოს კანონი ნორმატიული აქტების შესახებ

### ვებგვერდები

- ✓ <https://matsne.gov.ge/>
- ✓ <http://www.sakpatenti.gov.ge/ka>